პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 58 (9834) | ოთხშაბათი, 10 მარტი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

საკოლმეურნეო წყობილება — მოწინავე საზოგადოებრივი წყობილებაა. კოლმეურნეობებს აქვთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის უსაზღვრო შესაძლებლობანი. მაგრამ იმისათვის, რომ სავსებით გამოყენებულ იქნას ეს შესაძლებლობანი, საჭიროა [illegible] ღად გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებისადმი, მიღწეულ [illegible] ყველა კოლმეურნეობის აყვანა მოწინავეთა დონემდე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებიდან, მიღებული 1954 წლის 2 მარტს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო.

განუწყვეტლივ ვამაღლოთ პარტიული განათლების დონე

კომუნისტური პარტია უდიდეს პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა, ყოველდღიურად ზრუნავს კადრების, ყველა კომუნისტის იდეურ-პოლიტიკური გამოწრთობისათვის, მათი მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის. იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესება, პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატების პოლიტიკური ცოდნის ამაღლება წარმოადგენს ცხოვრების ყველა დარგში მათი მოწინავე როლის გაძლიერების, პარტიული მასების შემდგომი აქტივიზაციისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების აუცილებელ პირობას.

მილიონობით კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი სწავლობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიას, რევოლუციურ თეორიას, საზოგადოების განვითარების კანონებს. ემყარებიან რა კომუნისტების, ჩვენი კადრების მზარდ ინტერესს პოლიტიკური ცოდნისადმი, საქართველოს რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა სასწავლო წლის დასაწყისიდან მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს კომუნისტთა მარქსისტულ-ლენინური განათლების დარგში. საგრძნობლად ამაღლდა პოლიტსკოლებისა და წრეების მეცადინეობის ხარისხი, გაუმჯობესდა დახმარება წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისადმი, გაფართოვდა ლექციების თემატიკა.

მაგრამ პარტიულ პროპაგანდაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ბევრი პარტიული ორგანიზაცია სათანადო მუშაობას არ ეწევა კომუნისტების თეორიული სწავლებისათვის, დაბალია იდეურ-პოლიტიკური მუშაობის დონე.

პროპაგანდისტულ მუშაობაში გადალახული არ არის თეორიის შესწავლისადმი მედავითნური, დოგმატური მიდგომა, მეცნიერებისა, ისეთი მდგომარეობა, როცა თეორიულ დებულებებს განმარტავენ კონკრეტული ისტორიული ვითარებისაგან, პარტიის ძირითადი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანებისგან მოწყვეტით. ყოველივე ეს აფერხებს მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითად შესწავლის საქმეს, ხელს უშლის იმას, რომ კომუნისტები, ჩვენი კადრები ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის არსს, ითვისებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებით ხასიათს. საჭიროა გადაჭრით ვებრძოლოთ ამ ნაკლოვანებებს, ბოლომდე აღმოვფხვრათ ისინი, პროპაგანდისტული მუშაობა მჭიდროდ დავუკავშიროთ ცხოვრებას, რათა იგი ხელს უწყობდეს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების განხორციელებას.

სერიოზული ნაკლია ის, რომ ბევრგან დღემდე აღმოფხვრილი არ არის პარტიულ განათლებაში ნებაყოფლობითი პრინციპის დარღვევები, არასწორად ხდება პოლიტსკოლებისა და წრეების დაკომპლექტება. იმის ნაცვლად, რომ კომუნისტებს შორის გასწიონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა, ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში მიმართავენ ადმინისტრაციულ მეთოდს და პარტიის წევრებსა და წევრობის კანდიდატებს პირადი სურვილის გაუთვალისწინებლად აბამენ წრეში ან პოლიტსკოლაში. როგორც საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, ასე მოიქცა, მაგალითად, ჯავის რაისაბჭოს აღმასკომის პირველადი პარტიული ორგანიზაცია. იქ პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში ჩააბეს კომუნისტი ტ. ცხოვრებოვა, რომელიც იძულებულია მეცადინეობაზე იაროს მცირეწლოვანი ბავშვით. ამავე წრეში გაერთიანებულია ტ. თედეევი, რომელმაც სამამულო ომში ორივე ფეხი დაკარგა. ტ. ცხოვრებოვამ და ტ. თედეევმა რამდენჯერმე მიმართეს პარტორგანიზაციას — ჩვენ დამოუკიდებლად ვიმეცადინებთო, მაგრამ მათი თხოვნა არ დაკმაყოფილეს.

ბევრი პარტიული ორგანიზაცია გატაცებულია პოლიტსკოლებისა და წრეების რიცხვის გაზრდით, მათში მსმენელთა რაც შეიძლება მეტი ოკოდენობის ჩაბმით. ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ლაშეს ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ პარტიის ისტორიის შემსწავლელ ძირითადი ტიპის წრეში ჩარიცხულია კომუნისტი მ. ცქიტიშვილი, რომელსაც ასეთი წრე წინათ დაუმთავრებია და თავისუფლად შეუძლია დამოუკიდებლად იმუშაოს თავისი იდეურ-თეორიული დონის ასამაღლებლად. საჭიროა გადაჭრით მოეღოს ბოლო პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტებაში ფორმალურ-ბიუროკრატულ მიდგომას, უნდა აღმოიფხვრას პოლიტსკოლებსა და წრეებში პირადი სურვილისა და თეორიული მოთხოვნილების გაუთვალისწინებლად კომუნისტების სავალდებულო, ხელოვნებით ჩარიცხვის პრაქტიკა.

პარტიულ განათლებაში კომუნისტთა საყოველთაო „ჩაბმის“ მავნე პრაქტიკამ გამოიწვია პარტიული განათლების ქსელის უზომოდ გაბერვა და მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონის დაქვეითება. ცხაკაიას რაიონის ნოქალაქევის, ნოსარისა და თეკლათის საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებთან, აგრეთვე თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „დინამოს“ პარტიულ ორგანიზაციასთან არსებულ პოლიტსკოლებს შექმნილი არა აქვთ მეცადინეობისათვის ნორმალური პირობები, აქ იშვიათი როდია მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები, ხშირია გაცდენა, დაბალია მეცადინეობის იდეური დონე. ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა პროპაგანდისტთა შერჩევას. ამ მეტად პასუხსაგებ მოვალეობას აკისრებენ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც სათანადო განათლება არა აქვთ და რომლებიც ამასთან არ იჩენენ ამ საქმით დაინტერესებას. ამის შედეგია, მაგალითად, რომ თბილისის 26 კომისრის რაიონში პროპაგანდისტები ა. ონანოვი, ვ. ახობაძე და ი. იარალოვი მოუმზადებელი მოდიან და მეცადინეობას უხალისოდ, დაბალ იდეურ დონეზე აწყობენ.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდაში მთავარია მისი ხარისხი, იდეური შინაარსი. ამიტომ პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან გულისხმიერად, უდიდესი პასუხისმგებლობით შეარჩიონ პროპაგანდისტთა კადრები, ეს საპატიო საქმე დააკისრონ ყველაზე განათლებულ, ნიჭიერ ამხანაგებს, რომლებსაც უნარი შესწევთ მოაწყონ უაღრესად საინტერესო, შინაარსიანი მეცადინეობა, გამოიწვიონ კომუნისტების ცხოველი ინტერესი პოლიტიკური ცოდნისადმი, მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლისადმი. პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად უნდა მუშაობდნენ პროპაგანდისტებთან, ამაღლებდნენ მათს თეორიულ დონეს და მეთოდურ დახელოვნებას.

ჩვენი კადრების, ინტელიგენციის მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლების უმნიშვნელოვანესი მეთოდია კომუნისტური პარტიის ისტორიისა და თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის მეთოდი. ამჟამად ჩვენს კადრებს, პარტიის წევრებსა და წევრობის კანდიდატებს ყველა პირობა აქვთ, რათა დამოუკიდებლად იმუშაონ თავიანთი თეორიული მომზადების ასამაღლებლად. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა გაძლიერონ დახმარება წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისადმი, მოაწყონ მათთვის კონსულტაციები და ლექციები, იზრუნონ ლექციური პროპაგანდის დონის ამაღლებისათვის.

საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობამ აღნიშნა სერიოზულ ნაკლოვანებათა არსებობა იდეოლოგიურ მუშაობაში და რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს პირველი რიგის ამოცანად დაუსახა გააძლიერონ ბრძოლა ამ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრისათვის.

იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ გადაუდებელი ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, რომლებიც პარტიული ორგანიზაციების, მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის უკანასკნელ ბრძნულ დადგენილებებით.

საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა აქტივის სრულიად საკავშირო თათბირი

1-დან 6 მარტამდე მოსკოვში მიმდინარეობდა საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა აქტივის სრულიად საკავშირო თათბირი, თათბირს დაესწრნენ საოკეანო გემების კაპიტნები, იმ თოთხმეტი ზღვის ნაოსნობის მუშაკები, რომლებიც საბჭოთა ქვეყნის ნაპირებს აკრავს, ყველა იმ აუზის გემთმძღოლები, მექანიკოსები, შკიპერები, რომლებშიც 100 ათასზე მეტი მდინარე შედის, ჩრდილოეთის საზღვაო გზის ყინულმჭრელი და სატრანსპორტო ფლოტის მუშაკები, მეცნიერების მოღვაწეები, გემთმშენებლები, გემთმერემონტეები, გზათა მუშაკები, ბევრი იმ სხვა პროფესიის წარმომადგენლები, რომლებიც დაკავშირებული არიან წყლის ტრანსპორტთან.

აქტივის თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა **გ. მ. მალენკოვმა**, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხანაგმა **ლ. მ. კაგანოვიჩმა.**

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის საზღვაო და სამდინარო ფლოტის მინისტრმა ამხ. **ზ. ა. შაშკოვმა.** მან შეაჯამა წყლის ტრანსპორტის 1953 წლის მუშაობის შედეგები და დაწვრილებით დაახასიათა ის ამოცანები, რომლებიც დგას წყლის ტრანსპორტის მუშაკთა წინაშე წელს — უწინარეს ყოვლისა სახალხო მოხმარების საქონლის გადაზიდვის დარგში.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გააკრიტიკეს სამინისტროს კოლეგიისა და აპარატის მუშაობა.

საბოლოო სიტყვაზე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხანაგმა **ლ. მ. კაგანოვიჩმა**, რომელსაც თათბირის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

დავრაზმოთ მთელი ძალები სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად

★

თვითეულ ჰექტარზე 3.600 კილოგრამი ჩაის ფოთოლი

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის სსრ სოფლის მეურნეობის მუშაკები გულდასმით ეცნობიან ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას და სახავენ მისი შესრულების ღონისძიებებს.

ბათუმელმა მეჩაიეებმა გადაწყვიტეს წელს 30 ჰექტარი ახალი მიწა აითვისონ და გააშენონ ჩაის პლანტაციები, სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოსავლიანობა აიყვანონ 3.600 კილოგრამამდე. ეს ნიშნავს იმას, რომ ჰექტარზე მიიღონ 400 კილოგრამით მეტი ჩაის ფოთოლი, ვიდრე შარშან.

სოფელ ანგისის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ციცბამ კოლმეურნეთა სახელით იკისრა: სიმინდის მთელი ფართობის ნახევარზე მეტი დათესონ კვადრატულ-ბუდობრივი წესით, მიაღწიონ ბოსტნეულის უხვი მოსავლის მიღებას. უკვე მოამზადეს 16 ჰექტარი ნიადაგი ბოსტნეულისათვის.

წინსვლის ნათელი პროგრამა

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება თავიანთ საბრძოლო პროგრამად მიიღეს. ლენინგორის რაიონის სოფელ წირქოლის კოლმეურნეობა „შრომის“ წევრებმა პირობა დადეს შარშანდელთან შედარებით შემოდგომის მთელი ნათესი ხორბლის თვითეულ ჰექტარზე მოსავლიანობა გაზარდონ 7 ცენტნერით. ახლა შეაქვთ ორგანული სასუქი, მოიმარაგეს მინერალური სასუქი ჯეჯილის დამატებით გამოსაკვებად.

კოლმეურნეობის მევენახე ბრიგადირმა ა. ხალიბეგაშვილმა, რომელმაც შარშან საშუალოდ ჰექტარზე 121 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა, ვალდებულება იკისრა წელს მიიღოს 150 ცენტნერი ყურძენი. მან უკვე შეიტანა ვენახში 200 ტონა ორგანული სასუქი. აქ წელს ახალ ვენახს 3 ჰექტარზე გააშენებენ.

კოლმეურნეობას საკმაოდ აქვს სრულ კონდიციამდე აყვანილი ყველა თესლი. სტალინირელი და ქსუისელი მექანიზატორები შეუდგნენ საგაზაფხულო სამუშაოთა დავალებების შესრულებას. ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ მოკლე ვადებში შეასრულონ საგაზაფხულო სამუშაობები.

ახალი ფარმატებებისათვის სოფლის მეურნეოგაში

ხაშური. (საკ. კორ.). — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, — განაცხადა სოფელ გვერდისუბნის კოლმეურნეობის მოწინავე მევენახემ მ. ცერცვაძემ, — დიდი მოვლენაა ჩვენ ცხოვრებაში. ეს ნიშნავს, — დიდი მოვლენაა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შესაქმნელად, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ასამაღლებლად. პირობას ვიძლევი წელს ისე კარგად დავაყენო ვენახის მოვლა-პატრონობა, რომ ჩემთვის მოსავლელად ჩაბარებულ ერთ ჰექტარზე მივიღო 90 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად 45 ცენტნერისა.

კოლმეურნეთა კრებამ ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება გადაჭრით გაუმჯობესონ ვენახის, მარცვლეული კულტურების, შაქრის ჭარხლის და სხვა კულტურების მოვლა-პატრონობა. ექვსი ჰექტარი ნამყენი ვაზი დამატებით გადაიყვანონ შპალერზე, გააშენონ ორი ჰექტარი ვენახი, ყოველ ჰექტარზე შეიტანონ 25 ტონა ნაკელი, აგროტექნიკური ღონისძიებების ზუსტად განხორციელებით მიაღწიონ იმას, რომ 14 ჰექტარი მსხმოიარე ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 80 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად 45 ცენტნერისა, თვითეულ ჰექტარზე მიიღონ საშუალოდ 18 ცენტნერი შემოდგომის ხორბალი ნაცვლად 14,5 ცენტნერისა, 27 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად 20 ცენტნერისა, 400 ცენტნერი შაქრის ჭარხალი ნაცვლად 216 ცენტნერისა, მიმდინარე წლის პირველ ივლისამდე დაამთავრონ საკოლმეურნეო ფერმის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია.

მექანიზატორები ვოლგისპირეთში მიემგზავრებიან

თელავი. (ს. ა. კ. ო. რ.). ახალგაზრდობა უსაზღვრო აღფრთოვანებით გამოეხმაურა ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის კომკავშირელთა მიმართვას — პარტიის მოწოდების პასუხად მონაწილეობა მიიღონ ყამირი და ნახვენი მიწების ათვისებაში.

ნაფარეულის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კომკავშირელი ტრაქტორისტი ბიძინა დიასამიძე განცხადებაში წერს:

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა უდიდესი ღონისძიებანი დასახა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გასაადიდებლად. სამშობლო მეტ მარცვლეულს მოითხოვს. ამ ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ყამირი და ნახვენი მიწების ათვისება. მე სიხარულით ვაცხადებ სურვილს მონაწილეობა მივიღო ამ კეთილშობილურ საქმეში. მოვითხოვ გამაგზავნონ ვოლგისპირეთში.

კომკავშირელებმა დავით ამირაჯიბმა, ყარამან ლუსკიშვილმა და ივანე ხახუტაშვილმა, რომლებიც ნაფარეულის მტს-ის მოწინავე ტრაქტორისტებად ითვლებიან, ასევე მოითხოვეს, რომ გააგზავნონ ყამირი მიწების ასათვისებლად ვოლგისპირეთში.

ახალგაზრდების მაგალითს სხვებმაც მიბაძეს. სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირმა, კომუნისტმა ილია ოდიშელაშვილმა, რომელმაც გასულ წელს 120 პროცენტით შეასრულა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა, პარტიის თელავის რაიკომს ასეთი განცხადებით მიმართა:

— ნაფარეულის მტს-იდან ოთხმა კომკავშირელმა-ტრაქტორისტმა გამოთქვა სურვილი წავიდნენ ყამირი მიწების ასათვისებლად. მეც მინდა სულითა და გულით მივიღო მონაწილეობა დიდ სახალხო საქმეში. ვოლგისპირეთში უფრო მეტი ხალისით ვიმუშავებ და სიტყვას გაძლევთ გასახელოთ.

ყამირი მიწების ასათვისებლად გაგზავნა ითხოვეს ახალგაზრდებმა მირიან ჭურღულაშვილმა, დომენტი დათუნაშვილმა, ალექსანდრე ჯაფარიძისშვილმა, ლერი შინგაზრდილოვმა, ივანე ფაცაიშვილმა, სეიფილ მუხტაროვმა და სხვებმა, რომლებიც სხვადასხვა პროფესიას ფლობენ.

თელავის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკიდან სამმა ახალგაზრდა ზეინკალმა ითხოვა ყამირი მიწების ასათვისებლად წასვლა.

* * *

სურათზე: ნაფარეულის მტს-ის მექანიზატორები (მარცხნიდან მარჯვნივ): ბ. დიასამიძე, ი. ოდიშელაშვილი, ყ. ლუსკიშვილი, დ. ამირაჯიბი, ივ. ხახუტაშვილი.

ფოტო მ. თელიაშვილისა.

ახალგაზრდა მეჯალურგთა პატრიოტული გადაწყვეტილება

რუსთავი. (საკ. კორ.). მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდებას პასუხად რუსთავის მრავალმა მეტალურგმა გამოთქვა მზადყოფნა — მონაწილეობა მიიღოს ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებაში. მარტო მიმდინარე წლის მარტის პირველ რიცხვებამდე ამ საყოველთაო-სახალხო საქმეში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა 60-მდე ახალგაზრდამ.

პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა მიიღო ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს ელექტროშემდუღებელთა ბრიგადის ბრიგადირის პეტრე კულკოვის განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „მტს-ის ყოფილი ზეინკალი ვარ. დედაქალაქის კომკავშირელთა მოწოდების გაცნობისთანავე გადავწყვიტე ჩემი ცოდნა და გამოცდილება მოვახმარო პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანის შესრულებას“.

ასეთივე პატრიოტული განცხადებები დაწერეს მეტალურგიული ქარხნის ელექტროშემდუღებლებმა ვლადიმერ ბურლაჩენკომ და სერგეი კირაევმა, „სოიუზპროკატმონტაჟის“ ამიერკავკასიის სამონტაჟო განყოფილების კომკავშირელმა მუშებმა ვლადიმერ კიჩიაცმა, ნიკოლოზ მანუკინმა და სხვებმა, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს სამუშაოდ წავიდნენ ალტაის მხარეში.

ზუგდიდელ მექანიზატორთა ხმა

ზუგდიდი. („კომუნისტის“ კორ.). ზუგდიდელი მექანიზატორები დიდი მოწონებით შეხვდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებას, რომელიც სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობის კონკრეტულ პროგრამას წარმოადგენს.

მტს-ის მუშაკებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და იკისრეს წელს აითვისონ 700 ჰექტარი ყამირი მიწა, მარცვლეულის მეურნეობაში მექანიზაციის დონე 1952 წელთან შედარებით გაზარდონ 15 პროცენტით, მოსავლიანობის გადიდების მიზნით ფართობებში შეიტანონ 45.000 ტონა ნაკელი, 20.000 ტონა ტკილი.

ზუგდიდელმა მექანიზატორებმა მტკიცე პირობა დადეს მარცვლეული კულტურების თესვა ვადაზე ათი დღით ადრე დაამთავრონ, 200 ჰექტარი ვენახის ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 50 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად 45 ცენტნერისა, მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოკრიფონ 3.300 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

მათს ვალდებულებებში გათვალისწინებულია მეცხოველეობისთვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა. ამ მიზნით დაასილოსებენ 3.500 ტონა საკვებს ნაცვლად 2.500 ტონისა, დაამზადებენ დიდი რაოდენობით უხეშ საკვებს, გააუმჯობესებენ 1.000 ჰექტარ საძოვრებსა და სათიბებს.

მექანიზატორები იბრძვიან იმისათვის, რომ წელს 15-ძალიანი თვითეული ტრაქტორის გამომუშავება აიყვანონ საშუალოდ 350 ჰექტარამდე, გეგმა კი 300 ჰექტარს ითვალისწინებს. მთლიანად სატრაქტორო სამუშაოები რბილ ხვნაზე გადაყვანით შეასრულონ 28.000 ჰექტარზე, ესე იგი გეგმით გათვალისწინებულზე ორი ათასი ჰექტარით მეტი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ჩაება მეექვსე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც მოწინავე მექანიზატორი ჭ. ქირია ხელმძღვანელობს. მან ვალდებულება იკისრა „ს-80“ მარკის ტრაქტორით მოხნას 2.500 ჰექტარი, დაზოგოს 10 პროცენტი საწვავი, მნიშვნელოვნად შეამციროს თვითეული ჰექტარის დამუშავების თვითღირებულება. მან შეჯიბრებაში გამოიწვია მტს-ის ყველა მექანიზატორი.

ქალთა საერთაშორისო დღე

კრება მოსკოვში 8 მარტს

საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ფართოდ აღნიშნეს მთელი მსოფლიოს ქალთა დღესასწაული. 8 მარტს მოსკოვში სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში გაიმართა დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრება საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო დღისადმი.

თეატრის დარბაზი საღამოსასწაულოდ არის მორთული. აქ შეიკრიბნენ ქალაქ მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ქალთა საუკეთესო წარმომადგენლები, საბჭოთა ხალხის სახელოვანი ქალიშვილები — მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარჩინებული ნოვატორები, ქალები — სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, ექიმები, პედაგოგები, სტუდენტები, ხელოვნების მუშაკები. დამსწრეთა შორის იყვნენ გმირი დედები, რომელთაც მიკუთვნებული აქვთ საპატიო ჯილდოები.

კრება გახსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ე. ა. ფურცევამ. მან ილაპარაკა, თუ რა უდიდეს როლს ასრულებენ საბჭოთა ქალები კომუნისტურ მშენებლობაში, რა მონაწილეობას იღებენ პარტიისა და მთავრობის იმ დონისძიებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომელთა მიზანია მშრომელთა ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესება, ილაპარაკა იმაზე, რომ საბჭოთა ქალები მხურვალედ უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის ბრძნულ საგარეო პოლიტიკას, აქტიურად მონაწილეობენ მშვიდობის მოსარეთა საერთაშორისო მოძრაობაში.

შემდეგ მისალმებისათვის სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს ი. ფ. დომბროვსკაიას.

მე ვარ საბჭოთა კავშირის მეცნიერ ქალთა 70-ათასიანი არმიის წარმომადგენელი, იმ ქალთა, რომელნიც აღზარდა ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ, — ამბობს იგი. — ჩვენში უმაღლეს სასწავლებელთა კარი ფართოდ არის გაღებული ქალებისათვის და ათასობით მათგანი ყოველწლიურად ადგება სამშობლოსადმი სამსახურის სახელოვან შრომითს გზას.

პარტიისა და მთავრობისადმი მხურვალე მადლობით გამსჭვალულია ვმირი დედის ა. დ. გორიუშკინას სიტყვა.

ტრიბუნაზეა ლუხოვიცის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი, სოციალისტური შრომის გმირი კ. მ. ლომჩენოვა. იგი ამბობს, რომ ჩვენს ქვეყანაში ასეულ ათასობით ქალი მუშაობს კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებად, ბრიგადირებად, მერგოლურებად, აგრონომებად, ზოოტექნიკოსებად. ქალი კოლმეურნეობაში დიდი ძალაა.

კრებაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე მ. ი. კალინინის სახელობის ფაბრიკის მრთველთა ბრიგადირმა ამხ. ს. ა. კოტოვამ, რუსეთის სფსრ სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა ა. ვ. ფედოროვამ, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა ლ. ლ. სოროკინამ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა კ. ნ. ელანსკაიამ.

კრების მონაწილეებს მხურვალედ მიესალმა მოსკოვის ნორჩ პიონერთა დელეგაცია.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი.

(საკ. ინ.).

იტალიის ფილმების ფესტივალი სსრ კავშირში

16-დან 26 მარტამდე სსრ კავშირის კულტურის სამინისტრო მოსკოვში, ლენინგრადში, სტალინგრადსა და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში აწყობს იტალიის ფილმების ფესტივალს.

ფესტივალის დროს აჩვენებენ იტალიის ორ ახალ მხატვრულ ფილმს: „რომი 11 საათზე“ და „ფუჭი იმედი“.

კინოფესტივალი შესაძლებლობას მისცემს საბჭოთა მაყურებლებს უფრო ფართოდ გაეცნონ იტალიის კინოხელოვნებას და განამტკიცებს კულტურულ ურთიერთობას საბჭოთა კავშირისა და იტალიის ხალხებს შორის.

კინოთეატრებში, კულტურის სასახლეებსა და კლუბებში, სადაც ფილმებს უჩვენებენ, ეწყობა იტალიის კინემატოგრაფიისადმი მიძღვნილი გამოფენები. (საკ. ინ.).

სომხეთისა და საქართველოს ჩარხმშენებლების შეჯიბრება

რამდენიმე წელიწადია მიმდინარეობს ორი მოძმე რესპუბლიკის — სომხეთისა და საქართველოს ჩარხმშენებლობის მოწინავე საწარმოების — თბილისის კიროვის სახელობისა და ერევნის ძერჟინსკის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნების კოლექტივთა სოციალისტური შეჯიბრება.

წელს ეს შეჯიბრება წარმატებით გრძელდება. ორი ამ მოწინავე საწარმოს კოლექტივებს შორის სოციალისტური შეჯიბრების 1953 წლის შედეგების შესაჯამებლად და 1954 წლისათვის ახალი სოციალისტური ხელშეკრულების დასადებად 7 მარტს თბილისში ჩამოვიდა ერევნის ძერჟინსკის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კოლექტივის დელეგაცია.

კიროვის სახელობის ქარხნის კოლექტივმა მომძმე სომხეთიდან ჩამოსულ თანამომძეებს გულთბილი შეხვედრა მოუწყო. 8 მარტს გაიმართა კიროვის სახელობის ქარხნის კოლექტივის საერთო კრება, რომელზეც შეაჯამეს ორივე საწარმოს შორის გასული წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და განიხილეს 1954 წელს შეჯიბრების პირობები. საერთო კრებაზე სტუმრების გამოჩენას ქარხნის კოლექტივი მხურვალე მისალმებებით შეხვდა. კრებაზე სიტყვები წარმოთქვეს დელეგაციის ხელმძღვანელმა ინჟინერმა ს. თუმანიანმა, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის დირექტორმა ნ. კიზოვაძემ, დელეგაციის წევრებმა ინჟინერმა კ. გევორქოვმა და ზეინკალმა ა. სიმონიანმა, კიროვის სახელობის ქარხნის მესამე საამქროს უფროსმა ი. ქურდაძემ, ჩქაროსანმა ხარატმა პ. ზუბრიცკიმ და სხვ.

კრების შემდეგ ხელმოწერილ იქნა ორივე ქარხნის ჩარხმშენებელთა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება 1954 წლისათვის.

ამხანაგ ნ. ნ. შაჯალინის სიტყვა

ვლადიმირის ოლქის ალექსანდროვის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე 1954 წლის 8 მარტს

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, გულითადი მადლობა გიძღვნათ თქვენ და ალექსანდროვის საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩეველს, რომლებმაც დამასახელეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ნება მიბოძეთ პირობა მოგცეთ, რომ ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა პირნათლად გავამართლო ეს ნდობა. **(ტაში).**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალი წარმატებანი მოიპოვა სოციალისტური მეურნეობის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის გაუწყვეტელი აღმავლობის საქმეში. მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ და საბჭოთა ინტელიგენციამ თავიანთი თავდადებული შრომით კიდევ უფრო განმტკიცეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერება.

კომუნისტური მშენებლობის საქმეში უდიდესი წვლილი შეაქვთ საბჭოთა ქალებს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. დღეს, ქალთა საერთაშორისო დღეს, მთელ ჩვენ ხალხთან ერთად მხურვალედ მივესალმებით სახელოვან საბჭოთა ქალებს და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ მათ! **(ტაში).** საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში ყველა ამომრჩეველისადმი მკაფიოდ არის ნაჩვენები საბჭოთა ხალხის მიღწევები და დასახულია სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარების ამოცანები. ამიტომ ნება მიბოძეთ შეეხო მხოლოდ ზოგიერთ საკითხს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად ჩვენმა სოციალისტურმა ინდუსტრიამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. სამრეწველო წარმოების მოცულობამ 1953 წელს 2,5-ჯერ გადააჭარბა ომამდელი 1940 წლის დონეს. მთელი მრეწველობის საერთო პროდუქცია 1953 წელს 45 პროცენტით გადიდდა 1950 წელთან შედარებით. მოგაგონებთ, რომ ახლა ყოველ 9 დღეში მსხვილი მრეწველობა იმდენ პროდუქციას იძლევა, რამდენსაც რევოლუციამდელი რუსეთი მთელი წლის განმავლობაში უშვებდა.

ინდუსტრიის განუწყვეტელი ზრდა აძლიერებს და განამტკიცებს ჩვენი სამშობლოს პოზიციებს კაპიტალისტურ ქვეყნებთან მშვიდობიან შეჯიბრებაში. ჩვენი მრეწველობის მძლავრი განვითარება ცხადყოფს იმ მარქსისტულ-ლენინური დებულების სიმართლეს, რომ სოციალიზმს თან მოაქვს შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერება. საბჭოთა ქვეყანაში შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ ზრდას ვაღწევთ უმაღლესი ტექნიკისა და მეცნიერების მონაპოვართა ბაზაზე. ჩვენს დროში ფართო გაქანება ეძლევა ელექტროენერგიის გამოყენებას მრეწველობასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები — კუიბიშევის, სტალინგრადის, გორკისა ვოლგაზე, რომლებიც ახლა შენდება, აგრეთვე ჰიდროელექტროსადგურები მდინარეებზე კამაზე, ობზე, ანგარაზე, კახოვკისა დნეპრზე — კიდევ უფრო გააღიდებენ ჩვენი სახალხო მეურნეობის ენერგოშეიარაღებას, შესაძლებელს გახდიან ახალი დიდი ნაბიჯი გადაიდგას ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმეში.

მძიმე მრეწველობის განვითარების წარმატებებმა მოამზადა სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობის პირობები. გათვალისწინეს რა ეს, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა მთავრობამ დასახეს მსუბუქი და კვების მრეწველობის დაჩქარებული განვითარების ფართო პროგრამა, იმ მიზნით, რომ ორი-სამი წლის განმავლობაში მკვეთრად გადიდდეს მოსახლეობის უზრუნველყოფა ყველა საჭირო საქონლით.

უკვე 1953 წელს მოხმარების საგნების მწარმოებელი მრეწველობის დარგების პროდუქცია 12 პროცენტით გადიდდა 1952 წელთან შედარებით, აქედან 1953 წლის მეორე ნახევარში — 14 პროცენტით 1952 წლის მეორე ნახევართან შედარებით. მნიშვნელოვნად იზრდება მსუბუქი და კვების მრეწველობის კაპიტალდაბანდების მოცულობა.

წარმატებანი მრეწველობის განვითარებაში შეიძლება დავინახოთ, კერძოდ, ვლადიმირის ოლქის მაგალითით, სადაც სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1953 წელს 1950 წელთან შედარებით 35 პროცენტით გადიდდა.

მაგრამ მიღწეული წარმატებებით ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით. მეურნეობის სოციალისტურ სისტემას აუარაცხელი შესაძლებლობა აქვს ეკონომიკის კიდევ უფრო მძლავრი განვითარებისათვის. ჩვენში კიდევ არიან ჩამორჩენილი საწარმოები, არიან მრეწველობის მთელი რიგი დარგებიც კი, რომლებიც თავიანთ გეგმებს ვერ ასრულებენ. მთელი სიმტკიცით უნდა გამოვავლინოთ და უკეთ გამოვიყენოთ საწარმოთა შინარეზერვები სამრეწველო პროდუქციისა და განსაკუთრებით სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გასაღიდებლად. გადაუდებელი და უმნიშვნელოვანესი სახალხო-სამეურნეო ამოცანაა შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

უკანასკნელ წლებში წინ მიდიოდა ჩვენი სოფლის მეურნეობაც. მთლიანად აღდგენილია ომის დროს დანგრეული კოლმეურნეობები, მტს-ები და საბჭოთა მეურნეობები. სულ უფრო მატულობს სოფლის მეურნეობის აღჭურვა მოწინავე თანამედროვე ტექნიკით. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახლანდელი მდგომარეობა, როგორც ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა აღნიშნა, სრულად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე, ხოლო მსუბუქ და კვების მრეწველობას — ნედლეულით, არ შეეფერება სოფლის მეურნეობის ტექნიკურ აღჭურვილობას და იმ შესაძლებლობებს, რომლებიც საკოლმეურნეო წყობილებას მოეპოვება.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სექტემბრისა და ამას წინათ დამთავრებულ პლენუმებზე გამოავლინა სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების ჩამორჩენის მიზეზები, დასახა უახლოეს 2-3 წელიწადში მათი მკვეთრი აღმავლობის კონკრეტული პროგრამა. შემუშავებულია და უკვე ხორციელდება საკოლმეურნეო წარმოების მთელი რიგი დარგების განვითარებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ეკონომიური დაინტერესების გაძლიერების ღონისძიებანი.

ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ გასული დროის მანძილზე გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა მტს-ებისა და კოლმეურნეობების კადრებით განმტკიცებისა და სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერების დარგში. მტს-ებში გაიგზავნა 100 ათასზე მეტი აგრონომი და ზოოტექნიკოსი, აგრეთვე 23 ათასი ინჟინერი და ტექნიკოსი.

ჩვენს ქვეყანაში სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მნიშვნელოვანი აღმავლობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მარცვლეულის მეურნეობის, როგორც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლის, შემდგომ განვითარებას. ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ დამთავრებულმა პლენუმმა დასახა მარცვლეულის წარმოების მკვეთრი გადიდების ამოცანა. მარცვლეულის წარმოების გადიდების ერთ-ერთი დიდი რეზერვი, მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად, არის ნესვენი და ყამირი მიწების ათვისება ყაზახეთის, ციმბირის, ურალის რაიონებში, აგრეთვე ვოლგისპირეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში. ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება საერთო-სახალხო ამოცანაა, რომლის გადასაჭრელად ფართოდ დაარაზმნენ საბჭოთა კავშირის ყველა ოლქისა და რესპუბლიკის მშრომელნი და უწინარეს ყოვლისა ახალგაზრდობა. ეს დამაჯერებლად მოწმობს, რომ საბჭოთა ადამიანები მხურვალედ უჭერენ მხარს პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დარგში.

პარტია და მთავრობა იღებენ ღონისძიებებს იმისათვის, რომ საბჭოთა, პარტიულმა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ძირეულად გაუმჯობესონ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა. ახლა მთავარია ის, რომ ჯეროვნად მოვაწყოთ კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობა, ბოლო მოვუღოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, რასაც იჩენს ზოგიერთი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკი.

ნაკლოვანებანი სოფლის მეურნეობაში დიდად არის დამოკიდებული თვით კოლმეურნეებზე, ჯერ კიდევ ცოტა როდია კოლმეურნეობა, სადაც შრომის დისციპლინა დაბალია, ყველა კოლმეურნე მთელი ძალებით არ იღებს მონაწილეობას საკოლმეურნეო წარმოებაში, ცუდად არის ორგანიზებული კოლმეურნეთა შრომა, არის საზოგადოებრივი დოვლათისადმი შეუგნებელი, უყაირათო მოპყრობის ფაქტები. საჭიროა გადაჭრით მოვუღოთ ბოლო ამ ნაკლოვანებებს.

ყველა ამომრჩეველისადმი წინასაარჩევნო მიმართვაში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა რწმენა გამოთქვა, რომ ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მოკლე ვადაში აიყვანონ ჩამორჩენილი რაიონები და კოლმეურნეობანი მოწინავეთა დონემდე, მიაღწიონ მინდვრების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის მნიშვნელოვან საერთო აღმავლობას. ეჭვი არ არის, რომ კოლმეურნე გლეხობა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები პირნათლად შეასრულებენ ამ ამოცანას. ამ საქმეში სოფლის მეურნეობის მშრომელებს აქტიურ დახმარებას გაუწევენ ქალაქის მშრომელნი, მთელი საბჭოთა ხალხი.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში კიდევ უფრო განმტკიცდება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, რომელიც შეადგენს ჩვენი სახელმწიფოს სიმტკიცის საფუძველს და კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების წინსვლის მთავარ ძალას. **(ტაში).**

საბჭოთა ხალხის განუწყვეტლივ მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა ყველაზე სრულად დაკმაყოფილებისათვის ზრუნვა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობის მოღვაწეობის უმაღლესი კანონია, კომუნისტური წყობილების პროგრამის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

სახალხო მეურნეობის საერთო აღმავლობის საფუძველზე განუწყვეტლივ იზრდება სსრ კავშირის ეროვნული შემოსავალი; სისტემატურად დიდდება მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი და კოლმეურნეთა შემოსავალი; მცირდება სასურსათო და სამრეწველო საქონლის ფასები; დიდდება სოციალური უზრუნველყოფის, განმრთელობის, განათლების, სახნაო და კულტურული მშენებლობის ხარჯები; უმჯობესდება საბჭოთა ვაჭრობა. შორს აღარ არის ის დრო, როცა ყოველ ქალაქსა და ყოველ სასოფლო რაიონში საბჭოთა ადამიანს შეეძლება იყიდოს ყველა საქონელი, რაც კი მას სჭირდება.

წარსული საარჩევნო კამპანიის შემდეგ განვლილ პერიოდში აშენდა ათეულ ათასობით სკოლა, საავადმყოფო, სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, კლუბი, თეატრი, ქოხ-სამკითხველო, ბიბლიოთეკა. პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებული საზრუნავია სამინაო მშენებლობა. ომისშემდგომ წლებში ქალაქებსა და მუშათა დაბებში აშენდა 183 მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი მუშა-მოსამსახურეებისათვის, ხოლო სოფლად — ოთხ მილიონზე მეტი სახლი კრლმეურნეებისათვის.

ბევრი გაკეთდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ გვყოფნის ბინები, და პარტიას განზრახული აქვს უფრო მეტი ენერგიით იბრძოლოს მშრომელთა სამინაო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

კომუნისტური მშენებლობის ახალ ამოცანებთან დაკავშირებით სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეუშაკთა სწორად შერჩევასა და განაწილებას. პარტიის XIX ყრილობაზე აღინიშნა, რომ ლენინის მითითებანი კადრების შერჩევის შესახებ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება. ეს ნაკლი დღემდე არ არის დაძლეული. მთელ რიგ სამინისტროებსა და უწყებებში კადრებით განმტკიცებული არ არის ჩამორჩენილი უბნები, ხშირად ამა თუ იმ დიდმნიშვნელოვან თანამდებობაზე უღირს მუშაკებს ნიშნავენ. კადრებით განმტკიცება სჭირდება იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც სოფლის მეურნეობას განაგებენ. მთელ რიგ კოლმეურნეობებში ძალიან სუსტი თავმჯდომარეები არიან. თუ გვინდა — ხოლო ეს ჩვენ ძალიან გვინდა! — ძირეულად გავუმჯობესოთ სახალხო მეურნეობის და უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობის ყველა დარგისადმი ხელმძღვანელობა, უნდა გავუმჯობესოთ მუშაკთა შერჩევისა და აღზრდის საქმე. ეს გასაგებიც არის: ცნობილია, რომ კადრები წყვეტენ ყველაფერს. იქ, სადაც საქმეს კარგი მუშაკი ხელმძღვანელობს, — საქმეც წინ მიდის და ადამიანებიც კმაყოფილი არიან. ხოლო თუ საქმე კანცელარისტს, მოლაყბეს ჩაუვარდა ხელში, მორჩა, არაფერი გამოვა!

ჩვენში შესამჩნევად გადიდდა სხდომების, ლაპარაკის, რეზოლუციის დაწერის მოყვარულთა და ისეთ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც ეს მთავარ რამედ მიაჩნიათ თავიანთ საქმიანობაში. ასეთ მუშაკებს შეუმუშავდათ თავისებური „სასხდომო რეფლექსი". **(სიცილი დარბაზში).** თუ ასეთ მუშაკს სთხოვთ მოაწყოს, ვთქვათ, პიონერიზის ბინის შეკეთება, იგი გიპასუხებთ: „მესმის, შესრულდება. დღესვე მოვიწვევთ სხდომას, განვიხილავთ...". დარწმუნებული იყავით, რომ გაჩნდება გრძელი და გრძელი რეზოლუცია იმის თაობაზე, რომ ეს ღონისძიება დიდმნიშვნელოვანი და საჭიროა. რეზოლუციას აუცილებლად ექნება პუნქტები და ქვეპუნქტები. მაგრამ საქმეს ამით არაფერი ეშველება, რადგან პიონერიზის ბინა მაინც შეუკეთებელი დარჩება.

აი ალექსანდროვის საარჩევნო ოლქშიც საკმაოდ ბევრია რეზოლუციები ნაკლით გაპოხიერების სარგებლობის შესახებ, ბევრ კოლმეურნეობაში კი ნაკელი მაინც არ გაავთ მინდვრად.

ჩვენში ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი მუშაკები, რომლებიც უარს არ იტყვიან ილაპარაკონ, მაგალითად, მოსავლიანობის გადიდებაზე და რჩევაც კი მისცენ ამ საკითხზე, ხოლო შემოწმებით ირკვევა, რომ მათ ელემენტარული წარმოდგენაც კი არა აქვთ იმაზე, თუ რაზეა დამოკიდებული მოსავლიანობა. ყველაზე საშიში ის არის, რომ ისინი თავს არ იწუხებენ შეისწავლონ მათთვის მინდობილი საქმე. სავსებით გასაგებია, რომ კოლმეურნეობებში მისვლისას ასეთი მუშაკები ხშირად უხერხულ მდგომარეობაში ვარდებიან და მათს მგზავრობას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს.

მე მგონია, საყვედურის ღირსი არიან ის მუშაკები, რომლებიც მხოლოდ აღნუსხავენ საქმის მდგომარეობას კოლმეურნეობაში და მას კონკრეტულ დახმარებას არ უწევენ.

უნდა ვთქვათ ისიც, რომ ჩვენში არიან მუშაკები, რომლებიც მხოლოდ იმას ფიქრობენ, თუ როგორ ითხოვონ მეტი მანქანა, ფული, მასალა, მაგრამ ყველაზე ნაკლებ ზრუნავენ არსებულ შესაძლებლობათა უკეთ და რაციონალურად გამოყენებისათვის.

კადრებთან მუშაობის ნაკლოვანებანი დასურათებული იყო სოფლის მეურნეობიდან აღებული მაგალითებით. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, იმას როდი ნიშნავს, რომ ასეთი მუშაკები სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში არ არიან. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ამჟამად განსაკუთრებით საჭიროა ვიმუშაოთ სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, მტს-ების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების განმტკიცებისათვის კარგი მუშაკებით, მხედველობაში ვიქონიოთ, რომ მნიშვნელოვანწილად მათზეა დამოკიდებული პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულება.

საჭირბოა ყველა ღონისძიებით გავაუმჯობესოთ მუშაობა კადრებთან სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე. ამისათვის ჩვენ ყველა საჭირო შესაძლებლობა გვაქვს. ჩვენს ქვეყანას არ აკლია მცოდნე, კულტურული ადამიანები, რომლებმაც კარგად იციან საქმე, გრძნობენ მისთვის დიდ პასუხისმგებლობას და უნარი შესწევთ წარმატებით წასწიონ იგი წინ.

რაც უფრო მეტი იქნება ასეთი ადამიანი, მით უფრო მალე გავაუმჯობესებთ ჩვენი პარტიული და საბჭოთა აპარატის ყველა რგოლის მუშაობას და აღმოვფხვრით ისეთ ბიროკრატიზმი, საქმის გაჭიანურება, რაც, სამწუხაროდ, ჩვენში კიდევ არსებობს.

წარმატებები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოიპოვეს, თვალსაჩინოდ უჩვენებენ მთელ მსოფლიოს საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დიდ სასიცოცხლო ძალასა და უდიდეს უპირატესობას. ეს წარმატებები მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის შემოქმედებითი შრომის, მუშათა კლასისა და გლეხობის ურღვევი კავშირის, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის შედეგია. საბჭოთა ხალხმა გამარჯვებანი მოიპოვა გენიალური ლენინის მიერ შექმნილი დიადი კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის მეოხებით, იმის შედეგად, რომ თანმიმდევრულად და მტკიცედ ხორციელდება პარტიის მიერ შემუშავებული პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება სსრ კავშირის ყველა ხალხის საარსებო, სასიცოცხლო ინტერესებს. პარტიის, მთავრობისა და ხალხის დიადი და ურღვევი ერთიანობა — აი ყველა ჩვენი გამარჯვების წყარო!

ამხანაგებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ განვლილი წლების მანძილზე, ისევე როგორც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი დროის განმავლობაში, პარტია, ხელმძღვანელობდა რა ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობის ლენინური პრინციპით, განუხრელად ახორციელებდა ხალხთა შორის მშვიდობის უზრუნველყოფის პოლიტიკას.

წინა არჩევნების შემდგომ პერიოდში საერთაშორისო ასპარეზზე ყველაზე მთავარი, გადამწყვეტი იყო მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის შემდგომი განმტკიცება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობისა და ხალხთა შორის თანამშრომლობის პოლიტიკას. ამავე დროს, ითვალისწინებენ რა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა რეაქციული წრეების ხრიკებს, პარტია და მთავრობა საჭიროდ თვლიან განამტკიცონ ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერება, რათა ჯეროვანი პასუხი გავცეთ ყოველ აგრესორს, რომელიც გაბედავს ხელყოს საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, რწმენით შევყურებთ მომავალს და მტკიცედ ვიცით: ჩვენი ხალხის ბედნიერი მშვიდობიანი ცხოვრებისათვის ჩვენ ვახორციელებთ და უეჭველად განხორციელებთ ჩვენი კომუნისტური პარტიის დიად წინასწარდასახულობებს!

ამხანაგებო! სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებს საბჭოთა ადამიანები ხვდებიან სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ვითარებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რაც მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის საფუძველზე ხორციელდება, მუდამ მთავრდებოდა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის სრული გამარჯვებით. არავითარი ეჭვი არ არის, რომ მომავალ არჩევნებშიც მშრომელნი ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს სოციალისტურ სამშობლოს! **(მჟუხარე ტაში).**

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს! **(მჟუხარე ტაში).**

დიდება ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას! **(მჟუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამომრჩეველთა შეხვედრა დეპუტატობის კანდიდატებთან

ალექსანდროვის № 133 საარჩევნო ოლქი

ალექსანდროვი (ვლადიმირის ოლქი), 8 მარტი. (საკდესი). დღეს რკინიგზელთა კლუბში გაიმართა ალექსანდროვის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრება, რომელიც მიეძღვნა შეხვედრას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივან ამხანაგ ნ. ნ. შატალინთან.

კრებაზე გამოვიდნენ კარაბანოვის კომბინატ „მესამე ინტერნაციონალის" პარტკომის მდივანი ამხ. პეტროვა, სტრუნინოს საფეიქრო კომბინატის „ხუთი ოქტომბრის" მქსოველი ამხ. კროხინა, პოკროვის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ამხ. მასლოვი, ლისავის მტს-ის აგრონომი ამხ. მარეიჩევა და სხვები, რომლებმაც ილაპარაკეს, თუ რა წარმატებანი მოიპოვეს საწარმოთა კოლექტივებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების აღსანიშნავად, თუ რა ძლიერ უყვარს საბჭოთა ხალხს მშობლიური კომუნისტური პარტია. მათ რწმენა გამოთქვეს, რომ არჩევნების დღეს ამომრჩევლები ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატს ამხ. ნ. ნ. შატალინს.

დასასრულ სიტყვა წარმოთქვა ამხ. ნ. ნ. შატალინმა.

თბილისის № 626 სასოფლო საარჩევნო ოლქი

გუშინ, 9 მარტს, თბილისის რკინიგზელთა სახლში კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის № 626 სასოფლო საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვასილ პავლეს-ძე მჟავანაძეს. აქ შეიკრიბნენ კოლმეურნეების, სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენლები.

კრება გახსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის გარეუბნის რაიკომის მდივანმა ამხ. დ. გელაშვილმა.

სიტყვა ეძლევა ნდობით აღჭურვილ პირს, მარტყოფის მტს-ის პატრონორგანიზაციის მდივანს ამხ. ა. კუპრაძეს. მან აღნიშნა ის დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა, რომლითაც გარეუბნის რაიონის კოლმეურნეები, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ეგებებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებით აღფრთოვანებული გარეუბნელი კოლმეურნეები თავდადებით შრომობენ, ქმნიან მეგოსტნეობის მძლავრ ბაზას თბილისის გარშემო.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. პ. მჟავანაძე, — თქვა შემდეგ მან,—რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს თბილისის სასოფლო საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებმა, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეული კანდიდატია.

სიტყვას ამბობს სოფელ მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. სუხიტაშვილი. მან ილაპარაკა, თუ რა პატრიოტული გრძნობით არიან გამსჭვალული საბჭოთა ადამიანები, რომლებსაც აღაფრთოვანებს ხალხის კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა.

კრებაზე გამოვიდნენ აგრეთვე სოფელ დიდი ლილოს რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ა. ქარცივაძე, დიღმის საშუალო სკოლის მასწავლებელი ვ. სონღულაშვილი, სოფელ გლდანის კოლმეურნეობის აგრონომი ვ. როინიშვილი, კოჯრის საბავშვო სახლის აღზრდილი, ახალგაზრდა ამომრჩეველი მ. კონონოვა და სხვ.

მათ განაცხადეს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს მშრომელები ერთსულოვნად ცხადყოფენ თავიანთ დარაზმულობას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, იმას, რომ მხურვალედ იწონებენ პარტიის ბრძნულ პოლიტიკას.

შემდეგ გამოვიდა ამხ. ა. ი. ანტონოვი, რომელმაც ამომრჩევლებს მადლობა გადაუხადა გაწეული ნდობისათვის.

გათუმის № 628 საარჩევნო ოლქი

ბათუმი, 9 მარტი. (საქდესი). ბათუმის თეატრის შენობაში კავშირის საბჭოს არჩევნების ბათუმის № 628 საარჩევნო ოლქის ათასზე მეტი ამომრჩეველი შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გივი დიმიტრის-ძე ჯავახიშვილს.

კრებაზე გამოსულმა ნდობით აღჭურვილმა პირებმა შ. შეელიძემ, რ. კიკნაძემ, დ. ჭანტურიშვილმა, ი. იურენკომ, ახალგაზრდა ამომრჩეველმა ს. ობრეზანოვამ და სხვებმა ილაპარაკეს, თუ რა აღფრთოვანებით ემზადება მთელი საბჭოთა ხალხი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნებისათვის, აღნიშნეს, რომ საწარმოებში გაჩაღებულია წინასაარჩევნო სოციალისტური შეჯიბრება, რომ ამომრჩევლებს გადაწყვეტილი აქვთ ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის კანდიდატებს და ერთხელ კიდევ ცხადყონ თავიანთი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი, ცხადყონ, რომ მზად არიან თავდადებით იმუშაონ, მთელი ძალღონე მოახმარონ კომუნიზმის გამარჯვების საქმეს.

ორატორებმა მოუწოდეს ამომრჩევლებს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატს ამხ. გ. დ. ჯავახიშვილს.

შეხვედრაზე დეპუტატობის კანდიდატმა ამხ. გ. დ. ჯავახიშვილმა მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს გაწეული ნდობისათვის.

გორჯომის № 633 საარჩევნო ოლქი

გორჯომი, 9 მარტი. (საქდესი). აქ კავშირის საბჭოს არჩევნების გორჯომის № 633 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს არმიის გენერალ ალექსი ინოკენტის-ძე ანტონოვს.

კრებაზე გამოვიდნენ ამხანაგები გ. ოვსეიკოვი, ი. აგიევი, ლ. ენდელაძე და სხვები. მათ ამხ. ა. ი. ანტონოვი დაახასიათეს, როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ღირსეული კანდიდატი. აღნიშნეს, რომ არჩევნების დღეს მშრომელები კვლავ ცხადყოფენ თავიანთ ურღვევ დარაზმულობას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, იმას, რომ მხურვალედ იწონებენ პარტიის ბრძნულ პოლიტიკას.

შემდეგ გამოვიდა ამხ. ა. ი. ანტონოვი, რომელმაც ამომრჩევლებს მადლობა გადაუხადა გაწეული ნდობისათვის.

სოხუმის № 127 სასოფლო საარჩევნო ოლქი

სოხუმი, 9 მარტი. (საქდესი). ეროვნებათა საბჭოს არჩევნების სოხუმის № 127 სასოფლო საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, სტალინური პრემიის ლაურეატს კომპოზიტორ ოთარ ვასილის-ძე თაქთაქიშვილს, რომელიც კენჭს იყრის ამ საარჩევნო ოლქში. ნდობით აღჭურვილმა პირებმა ამხ. თაქთაქიშვილი დაახასიათეს, როგორც მთელი რიგი თვალსაჩინო მუსიკალური ნაწარმოებების ავტორი, რომელიც თავის შემოქმედებითს ძალებს ხალხის სამსახურს ახმარს.

ახალციხის № 139 საარჩევნო ოლქი

ახალციხე, 9 მარტი. (საქდესი). ეროვნებათა საბჭოს არჩევნების ახალციხის № 139 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს კომუნისტური პარტიის დმანისის რაიკომის პირველ მდივანს მაჰმუდ ყული ოღლი ყულიევს.

თბილისის ლენინის № 147 საარჩევნო ოლქი

თბილისში, პლეხანოვის სახელობის კლუბში, ეროვნებათა საბჭოს არჩევნების თბილისის ლენინის № 147 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სოლისტს ლეილა მიხეილის ასულ გიორგაძეს. ამომრჩევლებმა იგი დაახასიათეს, როგორც ნიჭიერი საბჭოთა მომღერალი. (საქდესი).

ერთი აგიტპუნქტი და მისი აგიტატორები

პლეხანოვის სახელობის კლუბში მუდამ შეხვდებით დიასახლისებს, მუშებს, მოსამსახურეებს. აქ მოთავსებულია აგიტპუნქტი. ზოგი ამომრჩეველი არჩევნებისადმი მიძღვნილ გამოფენას ათვალიერებს, ზოგიც გრძელ მაგიდას უზის და საარჩევნო ლიტერატურას ეცნობა, სხვები კიდევ კედლის გაზეთ „ამომრჩევლის ხმას“ კითხულობენ.

— ამხანაგო ყალიჩავა, ხვალ მგონი ჩოდრიშვილის ქუჩის № 1 სახლში სტახანოველ დავით ამირანაშვილს ხვდებიან დასახლისები, არა?

— დიახ! — უპასუხებს აგიტპუნქტის გამგეს აგიტატორი.

— შეიძლება შეხვედრას ჩვენც დავესწროთ? — კითხულობს იქვე მყოფი ცნობისმოყვარე ახალგაზრდა.

— მობრძანდით, დაგეესწრათ!

მართლაც, კვირას ჩოდრიშვილის ქუჩის № 1 სახლში დურგალ ა. თედეევის ბინაზე დიასახლისებმა მოიყარეს თავი. გახდა თუ არა ექვსი საათი, მოვიდა აგიტატორი, თან მოჰყვა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სტახანოველი ზეინკალი დავით ამირანაშვილი, რომელმაც დასახლისებს უნდა უამბოს თავისი ცხოვრებისა და მუშაობის შესახებ.

დავითი ოდნავ ნერვიულობს, ღელავს ჭალარაშერეული მუშა. თავისუფალმა და პატიოსანმა შრომამ აამაღლა იგი... სქელ ულვაშზე ხელი გადაისვა და მოჰყვა გავლილი ცხოვრების ამბავს:

— ოჯახი, სადაც მე დავიბადე, ყველაზე ღარიბი იყო ზემო ავჭალაში. მამაჩემი დიმიტრი მძიმე შრომას ეწეოდა, მაგრამ ცხოვრება მაინც გვიჭირდა. საკოდავს ზემო ავჭალიდან ყოველდღე თბილისში უხდებოდა სამუშაოდ ჩამოსვლა. მაშინ ის რკინიგზის სადგურის მტვირთავი იყო. ძალიან რომ გაუჭირდა ლუკმაპურის შოვნა, იძულებული გახდა მეც სამუშაოზე გავეყვანე. 12 წლისა ჩავები მძიმე შრომაში, და იმის ნაცვლად, რომ ხელში წიგნი მჭეროდა, დავწყებებოდი ცოდნის წყაროს, აუტანელ შრომას ვეწეოდი. ეხ, რა დრო იყო ის დასაქცევი...

აქ დავითმა ღრმად ამოისუნთქა, სახეზე მწუხარება დაეტყო.

დავითის თვალწინ კინოლენტივით გაიელვა ძველი დროის შავბნელმა სურათებმა: თხუთმეტი წლის დავითი ზეინკლად იწყებს მუშაობას ერთ-ერთი მესაკუთრის სახელოსნოში, საიდანაც 5-6 წლის მომაბეზრებელი შრომის შემდეგ სამუშაოდ გადაიყარა ქალაქის ტრამვაის პარკში. დავითი იგონებს, თუ როგორ ჩამორჩებოდა მაშინ ქალაქის ტრანსპორტი, რა საკოდავ მდგომარეობაში იყო წინათ ტრამვაის პარკი.

ძველი მუშა სიამაყით იხსენებს წუთებს, როდესაც თავისუფლებასმოწყურებული ჭაბუკი შორიახლოს იდგა იმ სახლის მცველად (ახლანდელ ცხრაძმის ქუჩაზე), სადაც ორალეგალური კრებები მიმდინარეობდა.

— მაშინ სოციალიზმზე ლაპარაკი ოცნება იყო, ახლა კი ფაქტი გახდა, ოცნება სინამდვილედ იქცა.

შემდეგ დავითი ლაპარაკობს, თუ როგორ მივიდა პირველად თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში (ახლანდელ სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში) სამუშაოდ. ეს იყო 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელს.

ვინ დათვლის რამდენი ახალგაზრდისათვის გაუზიარებია მას თავისი გამოცდილება, უსწავლებია თავისი საყვარელი ხელობა. ბევრი მათგანი ახლაც ქარხანაში მუშაობს, მაგალითად, ნიკოლოზ მიხაილოვი, გიორგი ხაჯაველიძე და სხვები.

გარეთ ზამთრის ცივი ქარი უბერავს, შიგნით კი მოგუზგუზე ღუმელში ხმელი შეშა ტკრაცალებს.

საათის ისარი უკვე ცხრას უახლოვდება.

— ნუთუ უკვე სამი საათი გავიდა? — უკვირთ დიასახლისებს.

სტახანოველი მუშის საუბარმა ისე გაიტაცა ისინი, რომ ვერც კი გაიგეს, დრო როგორ გავიდა.

ასეთ საინტერესო შეხვედრებსა და საუბრებს ხშირად აწყობენ მოსახლეობაში აგიტატორები.

საინტერესო აგიტაციას ეწევა ბრიგადირის შესახვევში მცხოვრებლებს შორის სტახანოველი ზეინკალი პავლე ბედენაშვილი, რომელიც ყოველთვის 300 პროცენტით ასრულებს საწარმოო გეგმას. იგი უნარიანად ხელმძღვანელობს ბრიგადას სამგზარო-საავგონო საამქროში (ამ საამქროში რამდენიმე ათეული წლის წინათ მოებაძავად მუშაობდა საბჭოთა ლიტერატურის ფოქიმდებელი მაქსიმ გორკი). პ. ბედენაშვილის საუბრები დამაჯერებელი და მიმზიდველია. იგი ფართოდ განუმარტავს ამომრჩევლებს, თუ რა ერთსულოვნებით მიმდინარეობს ჩვენში არჩევნები, რა მოგვცა საბჭოთა კონსტიტუციამ, რაში მდგომარეობს საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის ცხოველმყოფელი ძალა. იგი მსმენელებს ესაუბრება პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაზე.

პ. ბედენაშვილის საუბრები აღსანიშნავია იმითაც, რომ გამდიდრებულია კომუნიზმის მშენებელი ადამიანების გმირული შრომის მაგალითებით. ამას წინათ მან მოაწყო საუბარი ლენინის რაიონის წარსულსა და აწმყოზე. ვინ არ იცის, რამდენად ჩამორჩენილი იყო ძველი „ნაძალადევი“. მაგრამ ახლა ნახეთ! ვისაც ოცდაცამეტი წლის წინათ უნახავს იგი, დღეს ვეღარ იცნობს. ლენინის რაიონი თბილისის ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო რაიონია. ქარხნები, ფაბრიკები, სკოლები, კულტურული დაწესებულებები, განიერი ქუჩები, ბაღები, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები ამშვენებს დღეს ამ რაიონს. ყველაფერი ეს საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიქმნა. ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ შეემატება ლენინის რაიონს. რაც დრო გადის, იგი უფრო იზრდება და მშვენიერდება. რაიონი ამაყობს თავისი მოწინავე ადამიანებით. მათ შორის ზოგი საბჭოთა კავშირის გმირია, ბევრის მკერდს ლენინის ორდენი ამშვენებს. ვის არ გაუგონია ცნობილი მჭედლის, ამჟამად ლენინის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის დავით ჭიჭინაძის, სახელგანთქმული მჭედლის კონსტანტინე ილურიძის და სხვათა სახელები!

აგიტატორის ცოცხალ, შინაარსიან საუბრებს მშრომელები დიდი ყურადღებით ისმენენ.

ასევე კარგად მუშაობს აგიტატორი ქეთევან ხაბაზაშვილი, რომელსაც ამომრჩეველები უბრალოდ „ჩვენს ქეთევანს“ ეძახიან. იგი დიასახლისების ხშირი სტუმარია, ნათელი და ცოცხალი ენით განუმარტავს სსრ კავშირის კონსტიტუციის, საბჭოთა საარჩევნო სისტემის დემოკრატიულ პრინციპებს. დამთავრდება თუ არა სამუშაო საათები, მას ყოველთვის სიხარულით მიელიან დიასახლისები მემანქანე აგაჯანოვის ბინაზე.

— ჩვენი ქეთევანი მოდის! — დაიძახებენ ხოლმე აგიტატორის გამოჩენისთანავე.

ქეთევან ხაბაზაშვილი მარტო საუბრებით არ კმაყოფილდება. იგი ხშირად აწყობს ექსკურსიებს თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილების დასათვალიერებლად. ამ დღეებში მოეწყო ექსკურსია ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში, ავლაბრის ყოფილ არალეგალურ რესტავრირებულ სტამბაში.

ბევრი ასეთი მოწინავე აგიტატორი ჰყავს პლეხანოვის კლუბთან არსებულ აგიტპუნქტს. აი ზოგიერთი მათგანი: ა. კოპაძე, ე. ხუბულური, ნ. სარქისოვა. ამჟამად ისინი, სხვა აგიტატორებთან ერთად, ამომრჩევლებს ესაუბრებიან დეპუტატობის კანდიდატთა — თბილისის მანქანათმშენებელი ქარხნის ჩქაროსანი ხარატის გ. სუხინისა და ოპერისა და ბალეტის თეატრის მოწინავე მსახიობის ლ. გიორგაძის ცხოვრებისა და შრომითი მოღვაწეობის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ აგიტპუნქტს კარგად ეხმარება ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის პარტიული ორგანიზაცია.

— კიდევ უფრო გავაძლიერებთ მუშაობას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის წარმატებით მოსამზადებლად. 14 მარტს ჩვენი საარჩევნო უბნის ყველა ამომრჩეველი ერთსულოვნად მისცემს ხმას საბჭოთა სამშობლოს სახელოვან შვილებს, — აცხადებს აგიტპუნქტის გამგე ი. ბოლქვაძე.

ვ. გოგრგანელი.

მახარაძის რაიონის სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობას აქვს კარგად მოწყობილი რადიოკვანძი, რომელიც მომსახურებას უწევს 400-ზე მეტ რადიოწერტილს. სურათზე: რადიოტექნიკოსი ნ. ანდღულაძე აწარმოებს რადიოგადაცემას.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ძვირფასი საჩუქრები

ბორი. (საკ. კორ.). აქ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სახლ-მუზეუმის სახელზე ხშირად მოდის საჩუქრები ჩვენი დიადი სამშობლოს და მსოფლიოს მრავალი კუთხიდან.

გასულ წელს გერმანელ მწერალთა ჯგუფმა მუზეუმს გამოუგზავნა ი. ბ. სტალინისადმი მიძღვნილ ლექსთა კრებულის სამი ეგზემპლარი. ჩინეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დელეგაციამ სახლ-მუზეუმს საჩუქრად დაუტოვა თაბაშირზე ამოკვეთილი ბარელიეფი მაო ძე-დუნის გამოსახულებით.

ამას წინათ რუმინეთიდან მუზეუმში მიიღეს კიდევ ძვირფასი საჩუქარი — ი. ბ. სტალინის თხზულებათა 13 ტომი რუმინულ ენაზე.

სამეცნიერო სესია კოლმეურნეობაში

მცხეთა. (საკ. კორ.). ნატახტარის სახელმწიფო სასელექციო სადგურმა სოფელ საგურამოს კოლმეურნეობა „განთიადში“ მოაწყო გამსვლელი სამეცნიერო სესია, რომელზეც მოსმენილ იქნა სადგურის მეცნიერ მუშაკთა მოხსენებანი.

გ. ლილუაშვილმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „საქართველოში ხორბლის სელექცია და პერსპექტიული ჯიშები“, ვ. ჩხეიკაძემ — „სიმინდის სელექცია და პიბრიდული თესლის წარმოება საქართველოში“, ბ. იაკობაშვილმა — „მრავალწლიანი საკვები ბალახების სელექციათესლეობის შედეგები“ და ს. თედორაძემ — „პარკოსანი კულტურების სელექცია“.

გაიხსნა ბახტრიონის ხიდი

ახმეტა. (საკ. კორ.). ახმეტის რაიონის სოფლები ზემო და ქვემო ალვანი, მაღრაანი, არგონი და ფიჩხოვანი გზაფხულსა და შემოდგომაზე მდინარე ალაზნის ადიდების გამო რაიონის ცენტრს მოწყვეტილი რჩებოდნენ. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატაცილების სამინისტროს მეორე საგზაო საექსპლოატაციო უბანმა (უფროსი ა. სეხნიაშვილი) მდინარე ალაზანზე, იქ, სადაც ბახტრიონის გორა იწყება, 105 მეტრის სიგრძის ხიდი ააგო. მშენებლობაზე 2.100.000 მანეთი დაიხარჯა. ხიდის მშენებლებმა 70.000 კუბმეტრი მიწის სამუშაო შეასრულეს.

ნაკლოვანებანი საგაზაფხულო ხვნა-თესვის პირველ დღეებში

კასპის რაიონში პატივისცემით არ სარგებლობს აგროტექნიკა

უხვი მოსავლისათვის ბრძოლის გადამწყვეტი პერიოდი დადგა. დაბლობ ზონებში გაჩაღდა საგაზაფხულო ხვნა-თესვა. კასპის რაიონში ზოგან კოლმეურნეები და მექანიზატორები უნარიანად იყენებენ მატერიალურ-ტექნიკურ და შრომითს რესურსებს, გაძლიერებული ტემპით ხნავენ და თესავენ.

მოსავლიანობის გადიდებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სოფელ კასპის მარქსის სახელობის კოლმეურნეობა. აქ ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ახალი წარმატებებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს — 14 მარტს. კოლმეურნეობაში ვადამდე შეაკეთეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი. საკმაო რაოდენობით აქვთ ყველა სახის კონდიციური თესლი. კოლმეურნეებმა წინასწარ იციან — მინდვრად რა სახის სამუშაოები შეასრულონ და სხვ. საკოლმეურნეო მინდვრებზე შეუფერხებლად მუშაობს კასპის მტს-ის მეორე სატრაქტორო ბრიგადა (ბრიგადირი შ. მამულაშვილი). მანქანის სრული დატვირთვით გამოყენების შედეგად ბრიგადამ ვადამდე გაანაღდა შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება საგაზაფხულო ხვნის დარგში. ახლა ამ ბრიგადის ტრაქტორისტები ს. ქეთიშვილი და ო. მამულაშვილი ქერის თესვაზე მუშაობენ და თვითეული მათგანი ყოველდღიურ დავალებას ერთიორად ასრულებს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მოწინავე კოლმეურნეთა და ტრაქტორისტთა მუშაობის გამოცდილება ფართოდ არ არის დანერგილი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ტრაქტორების რემონტი ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია კასპის მტს-ის მეხუთე სატრაქტორო ბრიგადას (ბრიგადირი შ. შაყულაშვილი), შესაკეთებელია 3 ტრაქტორი. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც თეძამისა და სამთავისის მტს-ებშია.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში ხვნა-თესვისას უხეშად არღვევენ აგროტექნიკურ წესებს და ამით საფრთხეს უქმნიან უხვი მოსავლის მიღების ბედს. უწინარეს ყოვლისა ეს ითქმის სოფელ აღაიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაზე. ჩვენ ამ კოლმეურნეობაში შევამოწმეთ ხვნა-თესვის ხარისხი. 7 მარტს საგაზაფხულო ხორბალს სამთავისის მტს-ის ტრაქტორისტი გ. მეკოლდახე თესავდა ჭალისპირის მოუმზადებელ ნაკვეთში. თესვისწინა კულტივაცია ჩატარებული იყო. ამის გამო თესლის 40 პროცენტი მიწაში არ იყო ჩაფლული. ამასთან თესლი ჩაყრილი იყო ღვარგის ტომარაში და ცვიოდა. ყველაფერი ეს ხდებოდა სამთავისის მტს-ის აგრონომის პ. მიღდისოვის თვალწინ, ის კი ზომებს არ იღებდა ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მტს-ის დირექტორი ამხ. კ. ჩეჩელაშვილი ძალებული გახდა შეეჩერებინა ხვნა-თესვა. ასეთი ფუთავბოლო მუშაობის შედეგად მთელი დღე გაცდა ტრაქტორი და სათესი მანქანა.

ყველაფერი ეს იმის შედეგიც არის, რომ ტრაქტორების ოპერატორ-მეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მ. ირემაშვილი საკოლმეურნეო მინდვრის ინშეიათი სტუმარია, ხოლო პარტიის რაიკომის მდივანს სამთავისის მტს-ის დარგში ამხ. გ. მთეშვილს საშუშაო ოთახი მტს-თან რომ ჰქონდეს, მაშინ მას ნამდვილი ოპერატიული კავშირი ექნებოდა კოლმეურნეობებთან და ასეთ კურიოზებსაც ადგილი არ ექნებოდა.

სერიოზული ამოცანების წინაშე დგას სოფელ ოკამის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობა. წელს შარშანდელთან შედარებით ბევრად მეტი სამუშაოები უნდა შეასრულონ. მაშასადამე, კოლმეურნეობა უკეთესად უნდა მომზადებულიყო საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის. კოლმეურნეობას აკლია საკვები ჭარხლის, მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების, პამიდორის, ლობიოს თესლი. ქერის თესვას პირველად 7 მარტს შეუდგნენ. ამავე დროს ტრაქტორისტი ვ. ბატაშური კარგად ვერ ამუშავებდა სათეს მანქანას. ზოგან თესლი ნიადაგის ზედაპირზე იყო მობნეული. ეს გამოწვეულია იმით, რომ ნაკვეთი ქვა-ლორღისაგან გაუწმენდიათ. კოლმეურნეობის აგრონომი ამხ. ვ. მცხვეთაძე ამ მდგომარეობას გულდამშვიდებით შესცქეროდა.

რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებს აკლიათ საგაზაფხულო კულტურების თესლი. მაგალითად, სოფელ ნიგოზას ხრუშჩოვის სახელობის, სოფელ ჩოლაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში არ გაჩენიათ არც ერთი ცენტნერი კარტოფილის თესლი. ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა აგრეთვე ახალქალაქის მიქოიანის სახელობის, ქვემო გომის კოსიგინის სახელობის, მეტეხის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებში.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში სათანადოდ არ აფასებენ სასუქის მნიშვნელობას მოსავლიანობის გადიდებისათვის. მაგალითად, სოფელ აღაიანის კოლმეურნეობის ფერმებთან ბლომად ყრია სასუქი, მაგრამ მინდვრად მისი გატანისათვის თავს არ იწუხებენ. გეგმით ნავარაუდევი 2 ათასი ტონნიდან გატანილი აქვთ მხოლოდ 140 ტონა. მინდვრად ნაკელის გატანის საქმეში არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ აგრეთვე სოფელ ხოვლეს ლენინის და კავთისხევის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობებში.

რაიონის კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას წელს სერიოზული ვალდებულებანი აიკისრეს. შარშანდელთან შედარებით მათ საგრძნობლად უნდა გაზარდონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, გაადიდონ პირუტყვის პროდუქტიულობა. მაგრამ როგორც საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების პირველმა დღეებმა გვიჩვენა, ყველაფერი არ კეთდება ამ ვალდებულებათა გასანაღდებლად. ამ მდგომარეობიდან მათ სათანადო დასკვნები უნდა გააკეთონ.

შ. ჭოჭუა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

კონსულტაცია

პარტიულ კომიტეტებთან არსებული ლექტორიუმები

პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან კომუნისტების მარქსისტულ-ლენინური განათლების დარგში. ამჟამად განსაკუთრებით გაიზარდა კომუნისტთა დამოუკიდებლად სწავლის მნიშვნელობა და შესაძლებლობანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაგმო პოლიტიკურ სკოლებსა და წრეებში კომუნისტთა „საყოველთაო ჩაბმით“ მავნე გატაცება, როცა ანგარიში არ ეწეოდა მათ პირად სურვილსა და თეორიულ მოთხოვნილებას. წრეები და სკოლები ხშირად დაკომპლექტებული არ იყო მომზადებული პროპაგანდისტებით, დაბალი იყო მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონე.

პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელთა ნაწილმა დაივიწყა პარტიის მითითება იმის შესახებ, რომ ჩვენი კადრების, ინტელიგენციის მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლების უმნიშვნელოვანესი მეთოდია რევოლუციური თეორიის დამოუკიდებლად შესწავლის მეთოდი.

მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთა რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით კიდევ უფრო იზრდება მოთხოვნილება კვალიფიციურ ლექციებზე, მაღლდება ლექტორთა ჯგუფებისა და ლექტორიუმების როლი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მიმდინარე სასწავლო წელს პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან შეიქმნა ლექტორიუმები. საქალაქო და რაიონული კომიტეტები ლექტორიუმებს ქმნიან აგრეთვე ცენტრიდან დაშორებულ მსხვილ სამრეწველო საწარმოებსა და მჭიდროდ დასახლებულ უბნებში დამოუკიდებლად მომუშავეთა რაოდენობისა და ლექტორიუმის კვალიფიციური ლექტორებით უზრუნველყოფის მიხედვით.

ლექტორიუმის ცნებით იგულისხმება განსაზღვრულ ადგილას სპეციალური გეგმის მიხედვით ლექციების სისტემატური კითხვა.

პარტიულ კომიტეტებთან არსებული ლექტორიუმების ძირითადი ამოცანაა ლექციების ციკლის მოწყობით დახმარება, გაუწიოს იმ ამხანაგებს, რომლებიც-დამოუკიდებლად სწავლობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიას, პოლიტიკურ ეკონომიას, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ეკონომიკას. ლექტორიუმში შეიძლება იკითხებოდეს ლექციების ციკლი მეცნიერების რამდენიმე დარგიდან, დამოუკიდებლად მომუშავეთა რაოდენობის და ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. ლექტორიუმებში ლექციები უნდა იკითხებოდეს რეკომენდებული თემატიკის მიხედვით. ლექციების ციკლი მსმენელებს აძლევს ჩამოყალიბებულ ცოდნას ამა თუ იმ დისციპლინაში, ხელს უწყობს მასალის შეთვისებას, ეხმარება მათ სისტემაში მოიყვანონ და განმტკიცონ ინდივიდუალური მეცადინეობის შედეგად მიღებული ცოდნა.

ლექციების ციკლის თემატიკის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს წასაკითხი თემების ურთიერთკავშირს და თანმიმდევრობას, ლექციების რაოდენობის განსაზღვრას იმ თვალსაზრისით, რომ ისინი ძირითადად მოიცავდნენ მეცნიერების მოცემული დარგის მთავარ საკითხებს. მაგალითად, ლექციების ციკლი პარტიის ისტორიაში ოქტომბრისშემდგომ პერიოდზე საჭიროა წაკითხულ იქნას თემების შემდეგი თანმიმდევრობით: 1. კომუნისტური პარტია — უცხოელთა სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ ბრძოლისა და თეთრგვარდიელთა განადგურების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი სამოქალაქო ომის წლებში; 2. კომუნისტური პარტია სახალხო მეურნეობის აღდგენის მშვიდობიან მუშაობაზე გადასვლის პერიოდში; 3. კომუნისტური პარტია ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლაში; 4. კომუნისტური პარტია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში; 5. სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში; 6. კომუნისტური პარტია სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრებისათვის და კომუნიზმში თანდათანობით გადასვლისათვის ბრძოლაში; 7. კომუნისტური პარტია — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი; 8. კომუნისტური პარტია ომისშემდგომ პერიოდში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში.

თემების მიხედვით ლექციების ციკლის კითხვის ვადები იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ასწრებს ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებული მასალის დამუშავებას დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების უმრავლესობა. თუ, მაგალითად, ოქტომბრისშემდგომი პერიოდის პარტიის ისტორიის შესწავლა ძირითადი წყაროების მიხედვით ამხანაგებს გათვალისწინებული აქვთ 1953-1954 სასწავლო წელს, შეიძლება ლექცია იკითხებოდეს ზემოთ დასახელებული თემატიკის მიხედვით თვეში ერთხელ.

ინდივიდუალური გეგმით დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისათვის ლექციების ციკლს სასურველია ესწრებოდნენ აგრეთვე თეორიულ სემინარებში გაერთიანებული ამხანაგები.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ნაკლებად ეწყობა ლექციების ციკლი სოციალისტური სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისა და ეკონომიკის საკითხებზე. სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებზე ლექციების ციკლი სასურველია წაკითხულ იქნას შემდეგ თემებზე: 1. სოციალისტური სოფლის მეურნეობა და მისი შემდგომი განვითარების ამოცანები; 2. საზოგადოებრივი მეურნეობა კოლმეურნეობათა მთავარი ძალაა. კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების გზები; 3. მიწათმოქმედების ორგანიზაცია კოლმეურნეობებში. სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების გზები; 4. მეცხოველეობის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში. პირუტყვის სულადობის გადიდებისა და მისი პროდუქტიულობის გაზრდის გზები; 5. საკოლმეურნეო წარმოების დაგეგმვა; 6. შრომის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში, შრომის დანორმვა და შრომადღეების დარიცხვის წესი; 7. კოლმეურნეობათა შემოსავალი და მისი განაწილება; 8. საფინანსო მეურნეობის ორგანიზაცია კოლმეურნეობებში.

გარდა ციკლის ლექციებისა ლექტორიუმში ლექციები ეწყობა ეპიზოდურ თემებზე ან კიდევ ადგილობრივი პირობებიდან გამომდინარე ეპიზოდურ თემებზე.

ლექტორიუმების მუშაობის, ისევე როგორც საერთოდ მთელი ლექციური პროპაგანდის დროს მთავარი ყურადღება უნდა ექცეოდეს პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებათა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის და 1954 წლის თებერვლის პლენუმების დადგენილებების და პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა, საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების პროპაგანდას.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველყოფის საქმეში პარტიული კომიტეტების მიერ ლექციური პროპაგანდის შეუფასებლობა შეუწყნარებელია. მთელ რიგ პარტიულ კომიტეტებს უკანასკნელ დრომდე ჯეროვნად არ გაუშლიათ ლექციური პროპაგანდა სოციალისტური სოფლის მეურნეობის საკითხებზე. მაგალითად, სიღნაღის, ზუგდიდის, ქობულეთის რაიონულ კომიტეტებს და სხვ.

ლექტორიუმებმა ისე უნდა წარმართონ მუშაობა, რომ თეორიული დებულებები მჭიდროდ უკავშირდებოდეს პარტიის პოლიტიკის საკითხებს, საბრძოლო პრაქტიკულ ამოცანებს. მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი ხასიათი სწორედ იმაში გამოიხატება, რომ აქ თეორია ორგანულად არის დაკავშირებული პრაქტიკასთან. სამწუხაროდ, პარტიული კომიტეტების ბევრი ლექტორი თეორიულ დებულებებს ხშირად განმარტავს კონკრეტული ისტორიული ვითარებისაგან, პარტიის ძირითადი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანებისაგან მოწყვეტით, ნაკლებად უკავშირებს ან სრულებით არ უკავშირებს კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკას.

წითელწყაროს რაიკომის ლექტორთა ჯგუფის მიერ აპრობირებული და წასაკითხავად ნებადართული ლექცია თემაზე: „მანქანა-ტრაქტორთა სადგურები საკოლმეურნეო წარმოების განვითარების წამყვანი ძალაა“ დაწერილია უწიგნურად, საჭირო მასალის გულდასმით შერჩევისა და ლექციის კომპოზიციის გააზრების გარეშე, მშრალად, უინტერესოდ. ლექციაში ერთი სიტყვაც არ არის წითელწყაროს რაიონის მტს-ების (წითელწყაროში 4 მძლავრი მტს-ია) მუშაობის დადებითსა და უარყოფით მხარეზე, მტს-ების წინაშე მდგომ საბრძოლო ამოცანებზე რაიონის კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში.

ასევე ითქმის ზუგდიდის რაიკომის ინსტრუქტორ-პროპაგანდისტის ბ. ზარქუას ლექციის შესახებ. ამხ. ზარქუას მიერ 1953 წლის ნოემბერში დაწერილ ლექციაში „სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობის საბრძოლო პროგრამაა“ — სრულებით არ არის ნახსენები საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის დადგენილება. ლექტორს მთლიანად გამორჩა მხედველობიდან არა მარტო საქართველო, არამედ საკუთარი რაიონი — ზუგდიდი, ამ რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა და პარტიული ორგანიზაციების წინაშე მდგომი ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებისა და მის შესაბამისად საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელების საქმეში.

ლექციური პროპაგანდიდან გადაჭრით უნდა განვდევნოთ ფორმალიზმის, დოგმატიზმისა და მედავითნეობის ელემენტები. პარტიული პროპაგანდა, იდეოლოგიური ფრონტის ყველა უბანი უნდა ემსახურებოდეს დღევანდელი დღის ამოცანებს, კომუნისტური მშენებლობის ინტერესებს. იგი უნდა გამომდინარეობდეს რესპუბლიკის, ქალაქის, რაიონის მრეწველობის ცალკეული დარგების, კოლმეურნეობებისა და მტს-ების წინაშე მდგომი საბრძოლო ამოცანებიდან.

ლექტორიუმებში ლექციებს უნდა კითხულობდნენ ქალაქკომებისა და რაიკომების ყველაზე მომზადებული და კვალიფიციური ლექტორები. ლექციების ტექსტებს წინასწარ უნდა გაუკეთდეს რეცენზია და გულდასმით იქნას განხილული პარტიული კომიტეტების ლექტორთა ჯგუფების სხდომებზე.

როგორც ციკლის, ისე ეპიზოდური ლექციების კითხვა ლექტორიუმში წარმოებს კარგად გააზრებული და მოფიქრებული გეგმით. სწორად იქცევიან ის პარტიული კომიტეტები, რომლებიც ლექტორიუმის გეგმას ადგენენ და ამტკიცებენ პარტიული კომიტეტის ბიუროს სხდომაზე — ციკლის ლექციებს მთელი სასწავლო წლისათვის, ეპიზოდურ ლექციებს კი ყოველთვიურად წინა თვის 15-20 რიცხვამდე. განცხადებას იმის შესახებ, მოცემული თვის რომელ რიცხვებში, ვის მიერ, რა თემაზე, სად და რომელ საათზე იქნება წაკითხული ლექციები, აკრავენ თვალსაჩინო ადგილებზე, აქვეყნებენ გაზეთში, წესრიგზე მოჰყავთ ლექციისათვის განკუთვნილი აუდიტორია, ზრუნავენ მისი გათბობა-განათებისათვის. პარტიული ორგანიზაციები ყველა პირობას ქმნიან ლექციის ნორმალურად მოსასმენად, მსმენელების მიერ ლექციის გეგმის, რეკომენდებული ლიტერატურისა და ლექციის ძირითადი შინაარსის ჩასაწერად.

კადრების, პარტიული, საბჭოთა-სამეურნეო აქტივის და ყველა მშრომელის მარქსისტულ-ლენინური აღზრდა პარტიის მიერ გამომუშავებული პოლიტიკის განხორციელების უმნიშვნელოვანესი პირობაა, ჩვენი ვალია მაქსიმალურად ვიზრუნოთ ლექტორთა ჯგუფებისა და ლექტორიუმების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ლექციური პროპაგანდის კომუნისტური მშენებლობის ამოცანების დონემდე ამაღლებისათვის.

ა. დოგვეარი,
საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი.

გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესი კომისრის წერილი საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი კომისრებისადმი

ბერლინი, 7 მარტი. (საკდესი). 6 მარტს გერმანიაში სსრ კავშირის უმაღლესმა კომისარმა ვ. ს. სემიონოვმა საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლეს კომისრებს გერმანიაში შემდეგი შინაარსის წერილები გაუგზავნა:

„ვადასტურებ რა თქვენი 1954 წლის 22 თებერვლის წერილის მიღებას, რომელიც შეიცავს წინადადებას, რომ ოთხი სახელმწიფოს უმაღლესმა კომისრებმა გერმანიაში განიხილონ ზოგიერთი საკითხი, რომელიც ეხება გერმანელი მოსახლეობისა და ტვირთების მოძრაობას დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიას შორის სადემარკაციო ხაზზე, ეკონომიურ და კულტურულ ურთიერთობას გერმანიის ორივე ნაწილს შორის და სხვ., საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო შემდეგი:

აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის ურთიერთობაში არის მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გადაჭრა გადაუდებელი საქმეა გერმანელი მოსახლეობისათვის, რომელიც დაინტერესებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის დაახლოებით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარებით.

ითვალისწინებდა რა ამას, ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირზე, მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ შეუძლებელია თათბირის მონაწილეთა პოზიციების შეთანხმება ძირითად საკითხებზე, რომლებიც შეეხება გერმანიის გაერთიანებასა და საზავო ხელშეკრულების დადებას, საბჭოთა მთავრობამ თათბირის განსახილველად შეიტანა წინადადება, რომ რჩევა მიეცეთ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის სათანადო ორგანოებს:

1. შექმნან სწორედ გერმანიის კომიტეტი, რომელიც შეასრულებს შეთანხმებისა და კოორდინაციის ფუნქციებს ვაჭრობის, ფინანსური ანგარიშწორების, ტრანსპორტის, საზღვრებისა და ეკონომიურ ურთიერთობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების დარგში;

2. შექმნან კულტურული, სამეცნიერო და სასპორტო კავშირურთიერთობის განვითარების საკითხთა სრულიად გერმანიის კომიტეტი, რათა აღმოიფხვრას არსებული დაბრკოლებანი გერმანიის ეროვნული კულტურის განვითარებაში.

ასეთი სრულიად გერმანიის კომიტეტების შექმნა ყველაზე უკეთ შეუწყობდა ხელს მომწიფებული შიდაგერმანული საკითხების გადაჭრას, რადგან ამ საკითხების მოწესრიგება თვით გერმანელი ხალხის საშინაო საქმეა.

არ შეიძლება უარვყოთ თქვენს წერილში აღძრული საკითხების დიდი მნიშვნელობა გერმანიის ორივე ნაწილის მოსახლეობისათვის, აგრეთვე იმ სხვა პრაქტიკული საკითხებისა, რომლებიც წარმოიშობა აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის ურთიერთობაში. სრულიად გერმანიის კომიტეტებს შეუძლიათ გადაუდებლად გადაჭრან ასეთი შიდაგერმანული საკითხები საოკუპაციო ხელისუფალთა ჩაურევლად, გერმანიის ორივე ნაწილის მოსახლეობის ინტერესებისათვის. საკითხები, რომლებიც ბერლინში არსებულ მდგომარეობას შეეხება, აგრეთვე შეიძლებოდა განეხილთ და გადაეჭრათ გერმანელ ხელისუფალთ.

აღნიშნული სრულიად გერმანიის კომიტეტების შექმნა გახდებოდა მნიშვნელოვანი წვლილი ადამიანთა და აღმოსავლეთ გერმანიის დაახლოების საქმეში და ხელს შეუწყობდა გერმანიის გაერთიანებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ იგი თანახმაა დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება სრულიად გერმანიის კომიტეტების შექმნის შესახებ. საბჭოთა ხელისუფალნი, თავის მხრივ, მზად არიან ყოველნაირად შეუწყონ ხელი აღნიშნული სრულიად გერმანიის კომიტეტების შექმნასა და საქმიანობას“.

„ამერიკის გზა სამუშაოსა, მშვიდობისა და დემოკრატიისაკენ“

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი

ნიუ-იორკი, 7 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა პროექტი თავისი პროგრამისა, რომელსაც სათაურად აქვს „ამერიკის გზა სამუშაოსა, მშვიდობისა და დემოკრატიისაკენ“.

პროგრამა იწყება იმის აღნიშვნით, რომ შეერთებული შტატები და ამერიკელი ხალხი სწრაფად უახლოვდებიან კრიზისს. პროგრამაში ნათქვამია, რომ არსებობს მტანჯველი შიში მომავალი ეკონომიური კრახის წინაშე, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ბევრ რაიონში ვრცელდება. ამის საწინააღმდეგოდ, ნათქვამია შემდეგ, კორპორაციების მოგებამ 1953 წელს 45 მილიარდ დოლარს მიაღწია. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შრომის სტატისტიკის ბიურო აღიარებს, რომ ამერიკის ყველა ოჯახთა ნახევარზე მეტი „ვერ იკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნილებებს“, ვერ უზრუნველყოფს თავის „ჯეროვან ჯანსაღ არსებობას“.

პროგრამაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველობა მონოპოლისტების ხელშია, რომელნიც ცდილობენ დაჩქარონ გამალებული შეიარაღება და — საბოლოო ანგარიშით — ომი.

შემდეგ პროგრამა ეხება ამერიკის საგარეო პოლიტიკის კრიზისს. აღნიშნავს რა, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკის მიზანია სრული ბატონობა მთელი დედამიწის ქვეყნებზე, ბაზრებსა და რესურსებზე იმ მეთოდების საშუალებით, რომლებშიც „შერწყმულია მოსყიდვა, მოტყუება, დაშინება და, საბოლოო ანგარიშით, ომი“, კომუნისტური პარტია თავის პროგრამაში აცხადებს: „შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ახლანდელი კრიზისი იმის შედეგია, რომ მმართველი კლასი უარს ამბობს ცნოს ძალების ახალი თანაფარდობა მსოფლიოში. ცივი ომი არის ცდა უკან დააბრუნონ ისტორიის საათის ისარი, მოამზადონ ომი მსოფლიო ბატონობისათვის, ამასთან ეფარებიან ზღაპარს საბჭოთა აგრესიის შესახებ“.

შემდეგ პროგრამაში განხილულია მაკარტიზმის საფრთხე და ფაშიზმის მზარდი საფრთხე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკელი ხალხის ძირითად დემოკრატიულ უფლებათა მოსპობა, ნათქვამია პროგრამაში, „რაღაც ომისშემდგომი უგუნურება როდია, რომელიც თავისთავად გაიკვლის. ეს არის ავბედითი და საშინელი ტენდენცია ჩამოყალიბებული პოლიციური სახელმწიფოსა და ფაშიზმისაკენ“. ამერიკის ფაშიზმის განადგურება, ნათქვამია პროგრამაში, „დღევანდელი დღის მთავარი ამოცანაა“ ამერიკელი ხალხისათვის.

შემდეგ მოყვანილია კომუნისტური პარტიის მოქმედების პროგრამა, რომელიც ხუთი პუნქტისაგან შედგება:

1. „გადიდდეს მოსახლეობის მყიდველობითი უნარი და შეიზღუდოს ტრესტების ბატონობა და მოგება“. ამასთან დაკავშირებით კომუნისტური პარტია მოითხოვს წინააღმდეგობის გაწევას ხელფასის შემცირების ყოველი ცდისათვის და იმის მომხრეა, რომ განხორციელდეს დეპრესიის წინააღმდეგ ბრძოლის პროგრამა ფასების, ბინის ქირისა და გადასახადების შემცირების საფუძველზე.

2. „იხარჯებოდეს სახსრები სოციალური ღონისძიებებისათვის და არა ომისათვის; ბინებისა და სკოლებისათვის და არა ბომბებისა და სახაზო გემებისათვის“.

3. პროგრამა მოითხოვს „ბოლო მოეღოს ცივ ომს და უზრუნველყოფილ იქნას მეგობრობა და გაჭრობა“.

„არავითარი ჩარევა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში, — ნათქვამია კომუნისტური პარტიის პროგრამაში, — ცნობილ იქნას ყველა ქვეყნის უფლება განაგოს თავისი თავი“.

4. „დემოკრატიის დაცვა და განმტკიცება“. ამ განყოფილებაშია მოწოდება სმიტის კანონის ყველა მსხვერპლის ამნისტიისათვის, კონგრესში ინკვიზიტორული პროგრამის გაუქმებისათვის, აგრეთვე ყველა ანტიმუშური კანონპროექტის ჩაშლისათვის ბრძოლისაკენ.

5. პროგრამა მოითხოვს „თანაბარ უფლებებს ზანგი ხალხისათვის“.

კომპარტია მოუწოდებს დემოკრატიული ძალების ერთიანობისაკენ, რათა 1954 და 1956 წლების არჩევნებში არ იქნას დაშვებული, რომ კონგრესში აირჩიონ ყველაზე რეაქციული კანდიდატები.

პროგრამის დასასრულს კომპარტია აცხადებს, რომ მზად არის „ყველა ამერიკელთან ერთად, როგორიც უნდა იყოს ჩვენი წარსული ურთიერთობა ან ახლანდელი უთანხმოება, გადავუღობოთ გზა ომსა და ფაშიზმს“.

ჰოლანდიის კომპარტიის წინასაარჩევნო მიმართვა ჰოლანდიელი ხალხისადმი

ჰაგა, 9 მარტი. (საკდესი). გაზეთმა „დე ვაარჰეიდმა“ გამოაქვეყნა კომუნისტური პარტიის მიმართვა ჰოლანდიელი ხალხისადმი. პროვინციული შტატების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით, რაც 21 აპრილს უნდა მოხდეს. კომუნისტური პარტია მოუწოდებს ჰოლანდიელ ხალხს მტკიცედ იბრძოლოს მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის — ხელფასის გადიდებისათვის, გადასახადებისა და მასობრივი მოხმარების საქონლის ფასების ზრდის წინააღმდეგ.

კომუნისტური პარტია მოუწოდებს მუშათა კლასს მოქმედების ერთიანობისაკენ, რათა არჩევნების დროს ლაზარი ჩასცეს სახალხო კათოლიკურ პარტიას, რომელიც „შავი რეაქციის პარტიაა“. კომუნისტური პარტია მოუწოდებს ჰოლანდიელ ხალხს შეუპოვრად იბრძოლოს „ევროპის არმიის“ წინააღმდეგ. უზრუნველყოფილი არსებობა და კეთილდღეობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, ნათქვამია მიმართვაში, თუ „ევროპის არმიის“ შექმნის გეგმები შეიცვლება კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულებით, როგორც ეს მოითხოვა საბჭოთა კავშირმა ბერლინში.

საომარი მოქმედება ინდოჩინეთში

შანხაი, 8 მარტი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება:

3 მარტს ღამით ვიეტნამის სახალხო ჯარები შეიჭრნენ ფრანგების აეროდრომ ჟია-ლამზე, რომელიც ხანოიდან რამდენიმე კილომეტრზე მდებარეობს, და დააზიანეს „დაკოტის“ მარკის 18 სატრანსპორტო თვითმფრინავი და საწვავის საწყობი.

ორი დღის შემდეგ, 5 მარტს ღამით, ვიეტნამის სახალხო ჯარები შეიჭრნენ კატბში (ექვს კილომეტრზე ხაიფონგის ნავსაყუდელიდან). კატბი ერთ-ერთია სამი ყველაზე დიდი საავიაციო ბაზიდან, რომლებიც ფრანგებს აქვთ ინდოჩინეთში და რომლებსაც მტერი იყენებს მძიმე თვითმფრინავების დასაშვებად. ამჟამად იქ იმყოფებიან ამერიკელი მფრინავები და საავიაციო პერსონალი.

პირველი წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ჩვენმა სახალხო განმათავისუფლებელმა ჯარებმა მოსპეს 60 თვითმფრინავი, მათ შორის 38 თვითმფრინავი „ბ-26“, 10 ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენი, 3 სატრანსპორტო და 9 მზვერავი თვითმფრინავი. გარდა ამისა, ვიეტნამის სახალხო არმიამ ცეცხლი წაუკიდა საომარი მასალის დიდ საწყობებს. აფეთქებით დაზიანებულია მტრის კიდევ რამდენიმე თვითმფრინავი.

ერაყის ახალი მთავრობა

ლონდონი, 8 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ბაღდადიდან იუწყება, ჩამოყალიბდა ერაყის ახალი მთავრობა.

ახალი მთავრობის პრემიერ-მინისტრია ფადილ ჯემალი.

პოლონეთის მთავრობის დადგენილება

სოფლად კოოპერაციული მოძრაობის განვითარების შესახებ

ვარშავა, 8 მარტი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება სამეწარმეო საწარმოო კოოპერაციის განვითარების შესახებ.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ 1949 წელს სოფლად გაჩაღებული კოოპერაციული მოძრაობა პოლონეთის გლეხობის სულ უფრო ფართო ფენებს მოიცავს. ამჟამად პოლონეთში 8 ათასზე მეტი სამეწარმეო საწარმოო კოოპერატივია, რომლებშიც გაერთიანებულია 200 ათასამდე წევრი და რომლებსაც 1,5 მილიონი ჰექტარი მიწა აქვთ. იზრდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაცია. სამეწარმეო საწარმოო კოოპერატივებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში.

კოოპერაციული მოძრაობის შემდგომი გაფართოების მიზნით მინისტრთა საბჭო ითვალისწინებს მნიშვნელოვნად გაუდიდდეს სახელმწიფო კრედიტები სამეწარმეო საწარმოო კოოპერატივებს. მნიშვნელოვნად დიდდება სახელმწიფო კრედიტები სამელიორაციო სამუშაოებისა და სამეწარმეო საწარმოო კოოპერატივების ელექტროფიკაციისათვის.

მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება განსაზღვრავს სახელმწიფო მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ამოცანებს კოოპერატივებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შემდგომი მექანიზაციის საქმეში. მომდინარე წელს პოლონეთში შეიქმნება 60 ახალი მტს-ი. ტრაქტორების რიცხვი მტს-ებში 1954 წელს გადიდდება 16.330-დან 19.699-მდე 15-ძალიანზე გადაყვანით. მტს-ები მიიღებენ აგრეთვე შარშანდელზე მეტ კარტოფილსათესებს, მარცვლეულს კომბაინებს, ძნისსაკონავებს, კარტოფილსათხრელებს, სალეწებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს.

მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებაში გათვალისწინებულია მტს-ებისა და სამეწარმეო საწარმოო კოოპერატივებისათვის სპეციალისტთა მომზადების ღონისძიებანი.

სამეწარმეო საწარმოო კოოპერატივებში მიღწეული წარმატებანი, ნათქვამია გადაწყვეტილებაში, მოწმობენ, რომ პოლონეთში სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის უდიდესი შესაძლებლობებია. კოლექტიურ მეურნეობაზე, მექანიზაციისა და მოწინავე აგრო და ზოოტექნიკურ მეთოდებზე დაყრდნობით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას სოფლის მეურნეობის სწრაფი და მტკიცე განვითარება, ამაღლდეს სოფლის მატერიალური და კულტურული დონე.

ალბანეთის აღგილობრივი საბჭოების არჩევნები

ტირანა, 8 მარტი. (საკდესი). ალბანეთის საქალაქო რაიონების სახალხო საბჭოების არჩევნების შედეგები, რაც 7 მარტს მიმდინარეობდა, მოწმობს ალბანეთის მშრომელი ხალხის ერთიანობასა და დარაზმულობას დემოკრატიული ფრონტის გარშემო, რომელსაც ალბანეთის შრომის პარტია ხელმძღვანელობს.

ტირანაში არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 99,8 პროცენტი. დემოკრატიული ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა 99,3 პროცენტმა.

გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის მე-12 პლენუმი

ბერლინი, 7 მარტი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტომ გადასცა გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის კომუნიკე.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ 1954 წლის 4 მარტს ქალაქ დიუსელდორფში გაიმართა გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის მე-12 პლენუმი.

პლენუმმა განიხილა ოთხი საგარეო საქმეთა მინისტრის ბერლინის თათბირის შედეგები და ამასთან დაკავშირებით დასახა ამოცანები გერმანიის კომუნისტური პარტიისათვის, მუშათა კლასისა და დასავლეთ გერმანიის შრომიდობიანი დემოკრატიული ძალებისათვის.

მოხსენება „საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირის შედეგები და გერმანელი ხალხის ბრძოლა გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის“ გააკეთა გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის სამდივნოს წევრმა ფრიც რიშემ.

პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ჩამოყალიბებულია უახლოესი ამოცანები გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრისათვის ბრძოლაში.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი

ბერლინი, 7 მარტი. (საკდესი). გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ დღეს გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ 1954 წლის 2 მარტს გაიმართა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა, რომელზეც მოწონებულ იქნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის შეცვლილი წესდების პროექტი. გაზეთები აქვეყნებენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის შეცვლილი წესდების პროექტის ტექსტს.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს თავის გადაწყვეტილებაში წინადადება მისცა პირველად პარტიულ ორგანიზაციებს კრებებზე განიხილონ შეცვლილი წესდების პროექტი. პარტიის წევრებს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებსა და პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს რჩევა ეძლევათ თავიანთი შენიშვნები და წინადადებანი წესდების ცვლილების შესახებ გაუგზავნონ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ან გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წესდების საკითხთა კომისიას.

კანადის პრემიერ-მინისტრის განცხადება

ნიუ-იორკი, 8 მარტი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს სეულელი კორესპონდენტის ცნობით, კანადის პრემიერ-მინისტრმა სენ-ლორანმა, რომელიც ამჟამად სამხრეთ კორეაში იმყოფება, კორესპონდენტებს განუცხადა, რომ, როგორც მას ამედი აქვს, ჟენევის თათბირს „დადებითი შედეგები მოჰყვება“.

როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, კითხვაზე, ნიშნავს თუ არა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელთა მიწვევა ჟენევის თათბირზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ცნობას, სენ-ლორანმა განაცხადა: „ჩემთვის ცნობილი არ არის, რომ ეს ნიშნავდეს მის ცნობას, მაგრამ მამაჩნია, რომ ჩვენ ოდესმე მოგვიხდება რეალურად შევხედოთ საგნებს და ვაღიაროთ, რომ ჩინეთის ახლანდელი მთავრობა ისეთი მთავრობაა, რომელიც ხალხს სურს“.

აფხაზეთის სახალხო პოეტის დ. გულიას საიუბილეო საღამო

9 მარტს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა აფხაზეთის სახალხო პოეტის დიმიტრი გულიას დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ-ის მწერლების კავშირის მდივანმა ამხ. ს. ჯილაიამ. მოხსენება „სახალხო პოეტი დიმიტრი გულია“ — გააკეთა კრიტიკოსმა ბ. ყლენტმა.

მომხსენებელმა დაახასიათა მხცოვანი მწერლის შემოქმედებითი განვითარების გზა. მწერალი თავის ნაწარმოებებში შთაგონებით უმღერის ჩვენს გამარჯვებათა ორგანიზატორს — კომუნისტურ პარტიას, სოციალისტურ სამშობლოს, საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას, მშვიდობიან შრომას.

იუბილარს მიესალმნენ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით პოეტი გრ. აბაშიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელით პროფესორი ა. ბარამიძე, სტალინის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის [illegible] ბრალეი [illegible] ანი, საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის სახელით მხატვარი უ. ჯაფარიძე.

საღამოზე იუბილარისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა ს. შანშიაშვილმა, ი. ნონეშვილმა, ო. კუპრავამ და ე. ქურდიანმა, აფხაზმა სტუდენტმა გ. გუბლიამ. დ. გულიას ლექსების ქართული თარგმანები წაიკითხეს პოეტებმა ა. აბაშელმა, ა. მირცხულავამ და თ. ჯანგულაშვილმა. იუბილარის ლექსი აფხაზურ ენაზე წაიკითხა აფხაზმა პოეტმა ა. ლასურიამ.

დასასრულ გამოვიდა დ. გულია. მან გულითადი მადლობა გადაუხადა პარტიას და მთავრობას, დამსწრე საზოგადოებას მისი შრომის ესოდენ მაღალი დაფასებისათვის და აღუთქვა მათ თავისი კალმით კვლავაც ემსახუროს საბჭოთა ხალხსა და სოციალისტურ სამშობლოს.

საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი უკრაინაში

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით უკრაინაში ჩამოვიდა საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი, რომელიც კონცერტებს მართავს კიევში, ლვოვში, ოდესაში, ჩერნოვიცსა და ხარკოვში.

საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის საზოგადოებრიობა გულთბილად შეხვდა მოძმე საქართველოს მუსიკოსთა გამოსვლებს.

ბეთჰოვენის № 8 კვარტეტში შემსრულებლებმა გახსნეს გენიალური კომპოზიტორის მუსიკის ღრმა ფილოსოფიური აზრი და საუკეთესოდ გადმოსცეს მისი ნათელი განწყობილება პირველ ნაწილში, მკაფიო ოპტიმისტური სახეები მეორე ნაწილში, ცხადყვეს სკერცოს და მისი რეალური თემის ღრმა გაგება და ბრწყინვალედ შეასრულეს სამარშო ფინალი.

ტიპიური ხალხური ელფერის, ცეკვის რიტმების და რუსული გარმონის დამახასიათებელი ტემბრის გადმოცემაც კი შეძლეს ქართველმა სტუმრებმა ჩაიკოვსკის № 2 კვარტეტის პირველ ნაწილში. მათი შესრულებით ჩაიკოვსკის კვარტეტის სკერცო გამსქვალულია სეედიანი ლირიკითა და ღრმა დრამატიზმით.

ინსტრუმენტთა შეწყობილი, ორგანულად შერწყმული ჟღერა, ურთულესი შტრიხების ზუსტი შესრულება, ნიუანსების დახვეწილი გრძნობის გადმოცემა გვიჩვენეს ქართველმა ოსტატებმა ს. ცინცაძის ნაწარმოებებში ქართულ თემებზე.

სტუმრები — სტალინური პრემიის ლაურეატები, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბ. ჭიაურელი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები გ. ხატიაშვილი, ა. ბეგალიშვილი და გ. ბარნაბიშვილი წარმატებით გამოვიდნენ აგრეთვე რადიოთი, მთელი რიგი ნაწარმოებები მათი შესრულებით კიევში ჩაწერილ იქნა აფსკზე. უკრაინის საზოგადოებრიობამ, კერძოდ, გაზეთმა „რადიანსკე მისტეცტვომ“ მაღალი შეფასება მისცეს ქართული კვარტეტის ოსტატობას.

ი. ნაზარენკო.

ჭ. კიევი.

აზერბაიჯანული მუსიკის კონცერტი

მორიგი სიმფონიური კონცერტი საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ მიუძღვნა აზერბაიჯანულ მუსიკას. კონცერტის პროგრამაში იყო ყარა-ყარაევისა და რაუფ ჰაჯიევის ნაწარმოებები, რომლებიც შეასრულა საქართველოს სახელმწიფო ორკესტრმა სტალინური პრემიის ლაურეატის ნიაზის დირიჟორობით. სოლისტი — მევიოლინე აზად ალიევი.

ყარა-ყარაევი ეკუთვნის საბჭოთა აზერბაიჯანის კომპოზიტორთა საუფალო თაობას. მან დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია დ. შოსტაკოვიჩის კლასით და შემდეგში დაიკავა ერთერთი პირველი ადგილი აზერბაიჯანის მუსიკალური კულტურის განვითარებაში. ოპერა „ვეტენისათვის“ და უვერტიურა-ფანტაზია „ლეილ და მეჯნუნისათვის“ მას სტალინური პრემია მიენიჭა.

ახალგაზრდა კომპოზიტორ რაუფ ჰაჯიევის შემოქმედებას თბილისის საზოგადოებრიობა პირველად გაეცნო. მან დაამთავრა ბაქოს კონსერვატორია ყარა-ყარაევის კლასით და შედარებით მცირე ხნის განმავლობაში შექმნა სხვადასხვა მუსიკალური ჟანრის მფელი რიგი ნაწარმოებნი. კონცერტზე შესრულებულ იქნა მისი „სიმფონია № 1“, რომელიც უმღერის ჩვენს ახალგაზრდობას. ნიჭიერად დაწერილია მისი კონცერტი ვიოლინოსათვის, განსაკუთრებით მესამე ნაწილი, რომელიც აგებულია ხალხური მელოდიის თემაზე. კარგად შესრულა ეს კონცერტი ახალგაზრდა მევიოლინემ აზად ალიევმა.

თბილისელები კარგად იცნობენ დირიჟორ ნიაზის, რომელიც აქ საგასტროლოდ იყო ჩამოსული 1950 წელს. ნიაზი საბჭოთა აზერბაიჯანის მუსიკალურ ხელოვნებაში შევიდა როგორც ნიჭიერი კომპოზიტორი და დირიჟორი. მისი უკანასკნელი ნაწარმოებია სიმფონიური პოემა „მიხაკიანი კაცი“. ნაწარმოებს საფუძვლად დაედო ნაზიმ ჰიქმეთის ამავე სახელწოდების პოემა, მიძღვნილი ბერძენი პატრიოტის ნიკოს ბელოიანნისისადმი.

ნიაზიმ კვლავ ცხადყო თავისი საუკეთესო დირიჟორული ოსტატობა, დიდი ერუდიცია, ორკესტრის ხელმძღვანელობის მაღალი უნარი.

კონცერტი გამეორებულ იქნა თბილისის ოფიცერთა სახლში. მას აქ წაემძღვარა ახალგაზრდა მუსიკათმცოდნის მ. ფიჩხაძის მოხსენება შესასრულებელ ნაწარმოებთა ავტორების შემოქმედების შესახებ.

თბილისის საზოგადოებრიობა გულთბილად შეხვდა მოძმე აზერბაიჯანის რესპუბლიკის მუსიკალური ხელოვნების ნიჭიერ წარმომადგენლებს.

მ. იოსებაშვილი.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

საქართველოს სსრ კ. პ. თბილისის საქალაქო კომიტეტთან არსებულ ლექტორიუმში

10 მარტს საღამოს 8 საათზე ლ. კეცხოველის სახელობის ბიბლიოთეკაში შედგება ლექცია პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელთათვის თემაზე: „იმპერიალიზმი კაპიტალიზმის უმაღლესი სტადიაა“. ლექტორი დოცენტი გ. მანჯგალაძე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

10 მარტს	პ. ჩაიკოვსკი — პიკის ქალი
11 მარტს	ლ. მინკუსი — დონ-კიხოტი

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ღღეს თბილისის თეატრებსა და კინოებში

(სპექტაკლების დასაწყისი 8 საათზე)

რუსთაველის სახელობის — დონ სეზარ დე ბაზანი, მარჯანიშვილის სახელობის — გვარს ნუ დავსახელებთ, გრიბოედოვის სახელობის — ვაი ჭკუისაგან, მუსიკალური კომედიის — ჩვენი ნაცნობები, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები (პონემენტი № 18, 10 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — უბის წიგნაკი (6 ს.), სანიტარული კულტურის — სოცოცხლის ტყე, თოჯინების ქართული — ხიფანგში (10 ს.).

* * *

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, სპარტაკი, ისანი, ვოროშილოვის სახელობისა და პლეხანოვის სახელობის კლუბები — რუსული ბალეტის ოსტატები, ამირანი — მე ბრალსა ვდებ, კომკავშირელი — გზა ეშაფოტისაკენ, თბილისი — პარმის სავანე, კოლხიდა — ძახველის ჭალა, 26 კომისრის სახელობის — ჩემი პატარა მეგობარი, დიდუბე — დავთ გურამიშვილი.

«კინოპროკატის» საქართველოს რესპუბლიკური კანტორა

ქ. თბილისის კინოთეატრებისა და კლუბების ეკრანებზე უშვებს ახალ მხატვრულ დოკუმენტალურ ფილმს

(ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეოთხე მსოფლიო ფესტივალი ბუქარესტში)

სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი ილია კოპალინი, სცენარი ს. ანტონოვისა, ვ. ზახარჩენკოსი და ი. კოპალინისა, მუსიკა ე. სვეტლანოვისა.

დოკუმენტალური ფილმების წითელი დროშის ორდენოსანი სტუდიისა და რუმინეთის „ალექსანდრუ სახიას“ დოკუმენტალური ფილმების სტუდიის ნაწარმოები.

მოსკოვი — ბუქარესტი, 1953 წ.

მოქალაქე სურბილ რაფიელის-ძე იუსუბოვმა, მცხოვრებმა საიათნოვას ქ. № 4, აღძრა საქმე საიათნოვას ქ. № 7 მცხოვრებ მოქალაქე ესთერ მიხეილის ასულ სიმხაევასთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კიროვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე იური ესტატეს-ძე ჭიჭინაძემ, მცხოვრებმა სამრეცხაოს ქ. № 18, აღძრა საქმე ყიფიანის ქ. № 38 მცხოვრებ მოქალაქე მერი სევერიანეს ასულ ჭიჭინაძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

შ. გურგენიძე, შ. მუნჯიშვილი, ი. სანაძე, ს. სვანი, ვ. ნაცვლიშვილი, ნ. ქადაგიძე, ძ. საღლაყაია, ო. პაპავა, მ. ნიკოლაევი, ლ. ბოხუა, ლ. ტოტანიანი, თ. ჯავახიშვილი, გ. ოქროშვილი, ე. კოკნაძე, ნ. ცინცაბაძე, ვ. მარგველიძე იუწყებიან თენგიზ ქირიას გარდაცვალებას.

პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან დარია გიორგის ასულ ხვინიძის გარდაცვალებას.

შალვა ლობჟანიძე, ნ. ჯაფარიძე, ა. თამარიძე, აკაკი, დავით, თედო რეხვიაშვილები, ა. ჩაგამეშვილი, შ. სხირტლაძე, ა. ქორჩილავა, ვ. ფანჯავიძე, მ. ბიდგაშვილი, ზ. გავაშელი ოჯახებით იუწყებიან ვიქტორ სარდიონის-ძე რეხვიაშვილის გარდაცვალებას.

აფრასო, გრიშა, სულტა ლობჟანიძეები, ნიკოლოზ, გრიშა, ვანო რეხვიაშვილები, ბ. ტოგონიძე, გ. ჩაჩხლანი, ვ. ხიდიშელი, ბ. ჩხედიანი, კ. ცალანი, დ. მეტრეველი, ნ. გოცირიძე ოჯახებით იუწყებიან ვიქტორ სარდიონის-ძე რეხვიაშვილის გარდაცვალებას.

სიმონ, რომეო, მელენტი, ნინო, ზინა, ერანა სანებლიძეები, შიო, თამარ ლეჟავები, თამარ, ლეონტი ლაბარტყავები, ნუნუ, საშა ბუაძეები, ოთარ, თამარ დარსაველიძეები, მერი, ირინა ყრუაშვილები იუწყებიან ელიზბარ ელიზბარის-ძე ჯიქიას გარდაცვალებას.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაცია-ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები იუწყებიან ელიზბარ ელიზბარის-ძე ჯიქიას გარდაცვალებას.

ცოლისდა სოფიო იმერლიშვილი შვილებით მზევინარით, ბერდიათი და ნონათი იუწყებიან აკაკი ალექსის-ძე ჭანტურიას გარდ